წელიწადი მესამე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა, 31 ივლისი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 28

## ჟურნალის შინაარსი

პოლიტიკურ გადასახლებულის ხმა ჟორდანია-რამიშვილის სადირექტივო წერილების გამო—**ალექსანდრე ნატრიაშვილი**; დემოკრატიზმის ყოფილი ვესტალკები—**ყარიბი**; რა ქნას საქართველომ—**ლეო შენგელაია**; გვაკმარეთ თქვენი მზრუნველობა—**ს. რობაქიძე**; ეკონომიკა პატრიოტიზმზე ძლიერია—**ს. ელიაძე**; რატომ დავაარსეთ ყოფ. მენშევიკ ქალთა სექცია—**ოლიმპიადა ბაქრაძე**; ახალი ყომული—ლექსი—**გ. ქუჩიშვილი**; რას ამბობენ ციფრები—**მ. კვატაშიძე**; სწავლა განათლების საკითხები—**კ. ჭეიშვილი**; უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები უნდა მოისპოს—**გრ. გძელიშვილი**; სოც.-დემ. და მუშა-ახალგაზრდობა—**ნ. ჯუღელი**; ბრძოლა ქლექთან—**ექ. რუსიშვილი-ყორჩიბაში**; სოფლად—**უ. ჯაში**; წერილები პროვინციიდან.

# პოლიტიკურ გადასახლებულის გამოძახილი

### ჟორდანია - რამიშვილის სადირექტივო წერილების გამო

(ხმა ტამბოვიდან)

პატიმრობაში და გადასახლებაში ყოფნის დროს დიდ უსერხულობას განიცდის მოაზროვნე ადამიანი იმ მხრივ, რომ ის იძულებულია თავის შეხედულება ამა თუ იმ პოლიტიკურ საკითხზე გულში ჩაიკლას და მოთმინებით იხადოს სასჯელი. თუ კი ის ამას არ იზამს, თუ ის გაბედავს თავისი აზრის გამოთქმას და თავისუფლებაში მყოფ ამხანაგებს მათ პოლიტიკურ შეცდომებზე მიუთითებს მაშინათვე შეიქნება ლაპარაკი:

— ციხემ შეაშინა, ციხეში აეხილა თვალები; სამშობლოში დაბრუნება უნდა; მთავრობის გულის შექებას ფიქრობს და სხვა ასეთები.

ასეთი აზრი და შეხედულება პოლიტიკურ ტუსაღზე და, მაშასადამე, პოლიტიკურად მოაზროვნე ადამიანზე, ყოვლად შეუწყნარებელია... დავიწყოთ იქიდან, რომ ციხეში პატიმარს ერთობ დიდი დრო აქვს აზროვნებისთვის და ყოველივე პოლიტიკურ მოვლენის ასაწონ-დასაწონად: მისი სწორად შესაფასებლად. ესეც არ იყოს, რატომ კაცს და ისიც მებრძოლ ადამიანს, მაინც და მაინც უნდა ალაპარაკებდეს სასჯელის შიში და არა სურვილი იმ საკითხის სწორად გადაჭრისა, რომელზედაც ხშირად დამოკიდებულია ხალხის ბედიღბალი?

ავიღოთ თუ გნებავთ, ვ. ჯუღელის წერილი, რომელიც მან ციხიდან გამოუგზავნა თავის ამხანაგებს. განა დასაძრახი იყო იგი ამ წერილისათვის? სრულიადაც არა. რა ვუყოთ, რომ მან მხოლოდ საგანგებო კომისიაში გაიგო და დაინახა ის, რაც არ იცოდა, რასაც ვერ ხედავდა თავისუფლებაში ყოფნის დროს? ამას ყველაზე უფრო ადასტურებს თვით ვალიკოს ზემოხსენებული წერილი.

კაცი, რომელსაც რამოდენიმე დღის წინად ხელში ეჭირა აჯანყების სადავე, დაჭერის შემდეგ იმდენათ კარგავს ავტორიტეტს თავის ამხანაგებს შორის, რომ მის წერილს არავინ ანგარიშს არ უწევს. რატომ? იმიტომ, რომ თავისუფლებაში მყოფ ამხანაგებს ეჭვი ეპარებათ ამ ადამიანის პოლიტიკურ პატიოსნებაში....

ეს ერთხელ და სამუდამოთ შემუშავებული მეშჩანური აზრი იყო დამნაშავე, რომ ვალიკოს არ დავუჯერეთ და თავს დავიტეხეთ ეროვნული უბედურება

პოლიტიკა მათემატიკა არ არის, პოლიტიკას არ შეუძლია ყველა საკითხების სწორად და შეუმცდარად გადაჭრა. პოლიტიკაში აუარებელი გზებია, იქ ბევრი სხვადასხვა შესაძლებლობაა. ამიტომ არის, რომ პოლიტიკაში დიდი სიფრთხილეა საჭირო ამა თუ იმ საკითხის გადაჭრის დროს, მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე ამა თუ იმ ერის ყოფნა-არყოფნის საკითხს ეხება. წარმოუდგენელია ასეთი სერიოზული საკითხის ლამაზი სიტყვებითა და თითების აწევ-დაწევით გადაწყვეტა, რადგანაც ასეთ შემთხვევაში შეიძლება ვინმე ავანტიურისტმა ადვილად გაასხოველოს თავისი ეგოისტური ზრახვები.... საქართველოში ასეთი მიდგომის დროს ყოველთვის შესაძლებელია 1924 წლის აგვისტოს საშინელების შედეგების მიღება.

მე აქ არ მინდა შევუდგე წარსული უბედურების შეფასებას; ამ უბედურების სიმძიმეს ველარაფერი ვერ შეამსუბუქებს. არ მინდა ვისმეს ვათქმევინო:—ურემი, რომ გადაბრუნდება, მერე გზა ყველამ დავინახეთო,—თუმცა ეს გზა ნათლად მოსჩანდა იმ გორაკიდან, რომელზედაც იდგენ ამ საქმის მომწყობები, თუ მათთვის სამშობლოში დაბრუნებისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების სურვილებს არ დაებრმავებიათ თვალები და ამ გრძნობებით გატაცებულებს სასწორზე არ დაედოთ საქართველოს ბედ-იღბალი.

მე მინდა ვილაპარაკო მხოლოდ მომავალზე და მით ქართველ ხალხს თავიდან ავაცილოთ მეორე აგვისტოს განმეორების შესაძლებლობა.

ნოე ჟორდანიას სადირექტივო წერილში არის მოყვანილი სამი ხაზი, რომელსაც ვითომ შეუძლია საბჭოთა რუსეთში გადატრიალება მოახდინოს. ეს ხაზები შემდეგია: 1) შინაგანი-პოლიტიკური; 2) შინაგანი ნაციონალური და 3) გარეგანი—სამხედრო.

პირველი ორი ხაზის შესაძლებლობაზე ლაპარაკიც მეტია. არავითარი საბუთი არ არსებობს დღეს საბჭოთა რუსეთში ამ ორი ხაზის სასარგებლოდ, ეს აშკარაა ყველა იმათთვის, ვინც ცოტათი მაინც იცნობს საბჭოთა რუსეთს.

რაც შეეხება მესამე ხაზს, ესე იგი ინტერვენციას, ვნახოთ რამდენათ ადვილად შესაძლებელია. ერთი, რომ ინგლისი თავისი საკუთარი ძალებით განცალკავებულათ რუსეთზე ვერ წამოვა, ის უეჭველად დაიწყებს ძებნას და რამდენად სჩანს ეძებს კიდეც სხვა ძალებს. ეს კი ადვილი საქმე როდია: ეს ძალები ინტერესების სხვადასხვაობის გამო არც ისე ადვილად ჩასათრევია იმისთანა საქმეში, როგორიც არის ომი,რომელიც ხშირად სრულიად მოულოდნელ შედეგებს იძლევა; მეორეც ის, რომ კიდევ რომ მოხდეს იმპერიალისტური სახელმწიფოების საბჭოების წინააღმდეგ შეთანხმება უფრო მოსალოდნელია მეოთხე ხაზი, ეს—არის ეკონომიური რკალი და არა ომი და ამ შემთხვევაში საბჭოთა რუსეთი, რომელსაც უკვე აქვს თავისი საკუთარი წარმოება და თავისი პური, დიდ გამძლეობას გამოიჩენს და მისი დაძლევა იმპერიალისტური სახელმწიფოებისათვის მეტის-მეტად ძნელი იქნება, თუ სრულიად შეუძლებელი არა.

მაგრამ, რატომ უნდა ავიღოთ ასეთი უკიდურესობა და არ უნდა მოველოდეთ მე-5 შესაძლებლობას, ესე იგი იმპერიალისტური სახელმწიფოებთან შეთანხმებას? ევროპას საბჭოთა რუსეთში აინტერესებს ვალები და ბაზარი. მაშ რატომ არ არის მოსალოდნელი, რომ ეს გათავდეს მშვიდობიანი მოლაპარაკებით და არა ომებით?

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ცხადია, ინგლისის გაბოროტება კიდევ არ არის იმის საბუთი, რომ საბჭოთა კავშირი გამოუვალ ჩიხშია მოწყვდეული და ის უნდა დაინგრეს და ჟორდანია-რამიშვილები ტყუილად აიქარებულან თავისი ემისრებისა და სადირექტივო წერილების გადმოგზავნით.

ამ სადირექტივო წერილებში ბევრი რამ არის ისეთი, რასაც დიდი ზიანის მიყენება შეუძლია ქართველ მშრომელ ხალხისათვის, თუ მათი ავტორების ბოროტი მიზნები ახლავე არ იქნენ გამომზეურებული და საჯაროთ გამოტანილი.

ამ წერილების ავტორს ყველაზე უფრო აკლდა პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა.

ფაშიზმს საქართველოში, ნიადაგი არ მოეპოვება, მაგრამ ჟორდანია-რამიშვილის პოლიტიკას კი შეუძლია შექმნას ის ხელოვნურად და, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პოლიტიკის შედეგია ევროპაში ქართველ ემიგრაციის გამოყოფა და ფაშისტთა ელემენტების წარმოშობა.

დაუშვათ ერთის წუთით, რომ საქართველოში ძალაუფლება უპატრონოთ დარჩა. რას უნდა მოველოდეთ ამ შემთხვევაში? აუცილებელ სამოქალაქო ომს. ამას ხელოვნურად ამზადებენ დღეს ქართველ ემიგრაციის ბელადები.

ნოე რამიშვილის წერილის შემდეგი ადგილი: „დროებითი მმართველობამ, რომლის თავმჯდომარე აუცილებლად ჩვენი პარტიის წარმომადგენელი უნდა იყოს, უნდა განაცხადოს თავიდანვე, რომ ერის წარმომადგენელია უცხოეთში გახიზნული ნოე ჟორდანიას მთავრობა და რომ დროებით მმართველობა მაშინვე გადადგება, როცა საქართველოს ტერიტორიაზე გამოჩნდება ეს მთავრობა, ან მისი რომელიმე წევრები“. ეს საზიზღარ შთაბეჭდილებას ახდენს. რამიშვილის ასეთი მოთხოვნილება წმინდა დიქტატურული და ყოველივე დემოკრატიულ პრინციპებს მოკლებულია. საკვირველია: როგორ ბედავს ასეთი ხალხი დემოკრატიზმის დამცველის როლში გამოსვლას?

ჟორდანია-რამიშვილი, რომ მართლაც დემოკრატიზმის პრინციპებს იცავდენ და არა თავის პირადს, ისინი ასე უნდა მსჯელობდენ:—ვინც ძალაუფლების ხელში ჩაგდებას შეძლებს, ის იმასაც შესძლებს, რომ ხალხს უხელმძღვანელოს ახალი მთავრობის არჩევაში?

რატომ არ სურთ ამ დემოკრატიზმის ვითომდა მოციქულებს შეეკითხონ თვით ხალხს: უცხადებს თუ არა იგი ნდობას ყოფილ მთავრობას?

ჟორდანია-რამიშვილი, რომ ქართველ ხალხს მართლაც უწევდენ ანგარიშს, ისინი თავის-თავს ერთხელ მაინც შეეკითხებოდენ: „სურს თუ არა ამ ხალხს თავისი ბედი ჩააბაროს იმ ადამიანს, იმ „მთავრობას“, რომლებმაც მთელი რიგი დანაშაულისა ჩაიდინა და ხალხს დიდი უბედურება დაატეხა თავზე?

არც ქართველი ლაშქრის ოფიცრები ეტყვიან ვისმეს მადლობას სადირექტივო წერილის შემდეგი ადგილისათვის: „ჩვენ დღეიდანვე მეტად კონსპირატიულად უნდა გავაბათ კავშირი ქართველ ლაშქრის უფროსი ოფიცრებთან, რათა შესაფერ მომენტში შეგვეძლოს მათზე დაყრდნობა“-ო.

როდესაც რამე მოვლენას ვიხილავთ, თავის-თავად იბადება საკითხი ამ მოვლენის წარმოშობის მიზეზების შესახებ. და როცა სადირექტივო წერილებში ავტორები საქართველოში რეპრესიის შესახებ ლაპარაკობენ, იქვე უნდა დაისვას კითხვა:—რა მიზეზები იწვევენ ამ რეპრესიებს?

თუ გადავავლებთ თვალს განვლილ 7 წლის საქართველოს სინამდვილეს, ცხადათ დავინახავთ, რომ ერთ წუთსაც არ შეჩერებულა ემიგრაციის ხელმძღვანელობით რეპრესიების გამომწვევი პოლიტიკური ჩარხის-ბრუნვა.

ვისაც გულწრფელად სურს საქართველოში რეპრესიების მოსპობა, იმან უნდა მოსპოს ამის გამომწვევი მიზეზები. თუ ჩვენ ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოების მთავრობის ფეხის ხმას ავყევით და თავის საკუთარ ხელისუფლებას ტყვიები დავუშინეთ, ამას, რა თქმა უნდა, ქვეყნის განადგურება მოჰყვება. ასეთ დამღუპველ პოლიტიკას გულწრფელად უნდა დავანებოთ თავი ერთხელ და სამუდამოთ.

ნოე რამიშვილი გვიკიჟინებს:—არ გაჰყვეთ ფაშისტებს, კლდეზე გადაგჩეხავენო. და იმავე დროს ხელს პაპისკენ გვიქნევს, მის საკუთარ სამოთხეში შეყვანას გვპირდება.

ფაშისტების გაყოლაზე, რასაკვირველია, ლაპარაკიც ზედმეტია, მაგრამ რამიშვილის მიერ ნაჩვენები გზაც ისეთივე და კიდევ უფრო დამღუპველია, როგორც იყო იმავე რამიშვილის მიერ ნაჩვენები აგვისტოსაკენ მიმართული გზა.

იმ დროს, როდესაც ხალხის ცოცხალ ორგანიზმზე ქირურგის სახელით ექსპერიმენტს ახდენს ყასაბი, მაშინ გაჩუმება მხოლოდ, იმისათვის, რომ ყასაბს ეს არ ესიამოვნებაო, არის ხალხის წინაშე წმინდა ვალის დავიწყება. ვისაც ქართველი ხალხისათვის კეთილი სურს, ის არც თვით გაჰყვება და არც სხვას ურჩევს გაჰყვეს იმ „ბელადებს“, რომლებმაც თვითონაც არ იციან რას ჩადიან; ამ „ბელადებს“ მხარი აქვთ მოქცეული, რისი დამამტკიცებელიც არის წარსული ყველა მათ მიერ ნაჩვენები სიმრუდე და კიდევ უფრო ეს სადირექტივო წერილები, რომლებიც ბავშვის ოცნებას უფრო ჰგავს, ვიდრე რეალურ მოსაზრებას.

ჩვენ ერთხელ და სამუდამოთ უნდა ვაქციოთ ზურგი რამიშვილისა და სხვა ფაშისტების მიერ ნაჩვენებ გზას, გვეყო რაც დაგვმართეს ამ ქართველ ხალხის ბოროტმა სულებმა. დღეს ერთად ერთი გზა, რომელსაც უნდა დადგეს ყოველი ქართველი, არის გზა მშვიდობიანი თანამშრომლობისა საბჭოთა ხელისუფლებასთან. ჭირსა და ლხინში გვერდში უნდა ამოუდგეთ მას. მასთან ერთად ვიმუშაოთ და მთელი ჩვენის ენერგიით მასთან ერთად უნდა ვებრძოლოთ შინაურსა და გარეშე მტრებს.

ეს არის ჩვენი მოვალეობა თავის საკუთარი თავისა, ხალხისა და სოციალიზმის წინაშე.

ამით ვათავებ ჩემს წერილს და, აგვისტოს ამბების გამო გადასახლებაში მყოფი, ტამბოვიდან ვუსურვებ ჩემს ძველ ამხანაგებს და მთლიანად ქართველ ერს, რომელსაც ვუსურვებ მეტ თვითგამორკვევას, რომ ის მომავალში მაინც არ შექმნილიყოს რამიშვილებისთანა ავანტიურისტების მსხვერპლი.

**ალექსანდრე ნატრიაშვილი.**

ქ. ტომბოვი.
10 ივლისი.

# დემოკრატიზმის ყოფილი ვესტალკები

## IV.

ჩვენში იტყვიან: დაკარგული ძროხა უფრო ძვირად ღირსო.

სწორედ ამ თქმულებას ამართლებენ დემოკრატიზმის ყოფილი ვესტალკები, რომლებიც აქ, საქართველოში როცა ისინი ქვეყნის ბედ-იღბალს განაგებდენ, ფეხებით სთელავდენ სწორედ იმ დემოკრატიზმს, რომლის რაინდებადაც დღეს ისინი გამოდიან.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის არსებობის დროს ეს რაინდები ფაქტიურად უარყოფდენ დემოკრატიზმის ყოველივე ნიშან-წყალს და, როცა დაჭირდებოდათ, ამას თეორეტიულადაც ასაბუთებდენ.

ჩვენ უამრავი მაგალითები მოვიყვანეთ იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ აბათილებდენ დემოკრატიზმის ყოფილი ვესტალკები დემოკრატიზმს. მაგრამ, რადგანაც ისინი თავისას არ იშლიან და ძველებურად განაგრძობენ ამ მათ მიერ უარყოფილი მცნების ქებათა-ქებას, მკითხველი, ალბათ, არ ჩაგვითვლის გადამეტებულ კადნიერებათ თუ კიდევ შევაჩერებთ ამ საგანზე მის ყურადღებას. დღეს ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს იმის დასასურათებლად, თუ როგორ იცავდენ დემოკრატიზმს ეს პოლიტიკური ყალბის მქნელები.

მოვიგონოთ „სხიველების" ისტორია, ს. ს.-დ. პარტიის, ან უკეთ რომ ვსთქვათ, ჟორდანია-რამიშვილის დამოკიდებულება ამ ჯგუფთან.

სიმართლე მოითხოვს ვსთქვათ, რომ „სხიველები" ცალკე ჯგუფს. ისინი არაფრით არ განირჩეოდენ სხვა სოციალ-დემოკრატებისაგან და, რა თქმა უნდა, დამფუძნებელ კრებაში პარტიის სიებით გავიდენ.

სიმართლევე მოითხოვს ვსთქვათ, რომ „სხიველები" ზოგიერთ შემთხვევაში მაინც ცდილობდენ ოპოზიციონერობის გამოჩენას. ყოველ შემთხვევაში დამფუძნებელი კრების ს.-დ. ფრაქციაში და ბიუროში ისინი ოპოზიციონერებათ ითვლებოდენ. მართალია, მათ არასოდეს არ წამოუყენებიათ პარტიაში საპროგრამო კითხვები, მაგრამ ისიც დიდი საქმე იყო, რომ ჟორდანია-რამიშვილსა და მათ „ჯამიტლაკიების" ხროვას ტაშს არ უკრავდენ და ყოველ მათ სიტყვებს მონურად არ ადასტურებდენ.

რა თქმა უნდა, „სხიველების" ასეთ „თავხედობას" ვერ მოითმენდა ნ. რამიშვილი, რომელსაც ხელთ ეპყრა სახელმწიფოს თითქმის მთელი იძულებითი ძალა და „შინაურ მტრებზე" ან ძალის მოხმარაც ჩინებულად იცოდა.. მოქ. რამიშვილმა მართლაც გამოიყენა თავისი ამ „მტრების" წინაალმდეგ „საგანგებო რაზმი", რომლის აგენტებმაც ხელათ შეურაცყოფა მიაყენეს „სხიველების" ჯგუფის ერთ თვალსაჩინო წევრს.

ეს ყოვლად ველური აქტი შეიქნა უკანასკნელ წვეთად, რომელმაც აავსო „სხიველების" მოთმინების ფიალა.. და აი უკანასკნელებმა, როცა დაინახეს, რომ როგორც ს.-დ. პარტიამ, ისე დამფუძნებელი კრების ს.-დ. ფრაქციამ და თვით დამფუძნებელმა კრებამაც ჟორდანია-რამიშვილის შიშით, დეპუტატის ხელშეუხლებლობის პრინციპი უარჰყვეს და დემოკრატიზმის ჯიბგირ რამიშვილს მხარი დაუჭირეს,—დამფუძნებელი კრების ფრაქციიდან გასვლა და ახალი ფრაქციის დაარსება განიზრახეს...

ამრიგად მომზადდა პარტიაში და ფრაქციაში განხეთქილება.

ეს დიდ სკანდალს უქადოდა პარტიას. მაგრამ ნოე რამიშვილს არ ეძინა. მან ჯარასავით დაატრიალა „ჯამიტლაკიათა" მთელი რაზმები. აფრინა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში თავისი აგენტები, რომლებიც „სხიველების" გასაბიაბრუებლად კითხულობდენ მოხსენებებს და ხალხს უმტკიცებდენ, რომ დემოკრატიის მიერ ხელშეუხლებლობით დაჯილდოებული დამფუძნებელი კრების წევრი ნ. რამიშვილის აგენტებს კი არ გაუროზგავთ, მან თავის თავი თვითონ გაიროზგაო. რამიშვილის აგენტები სიტყვითა და წერით ამტკიცებდენ, რომ „სხიველების" ოპოზიციონერობა პირად ანგარებაზეა დამყარებული, რომ მათ საუკეთესო ბინების ხელში ჩაგდება მოინდომეს და რაკი ჩვენ ამაზე არ დავეთანხმეთ, პარტიაში განხეთქილება შეაქვთო.

როცა „სხიველები" დამფუძნებელ კრებაში დეკლარაციით გამოვიდენ, მაშინ ხომ სულ ერთიანად აირია მონასტერი. აწკანკავდენ „ერთობისა" და „ბორბა"-ს ფინიები. მათ მოიკრიბეს თავისი მთელი გონებრივი უძლურება და სიდუხჭირე და „თეორეტიულ" ბრძოლას შეუდგენ.

პირველი არგუმენტი, რომელიც „ერთობის" „პუბლიცისტებმა" „სხიველების" წინაალმდეგ წამოაყენეს, იყო ის ყოვლად საზიზღარი და დემოკრატიზმის უარმყოფელი ხელწერილი, რომელსაც დამფუძნებელი კრების კანდიდატების სიის შედგენის დროს ს.-დ. პარტია ართმევდა სიაში შეტანილ კანდიდატებს.

— აი, თქვენი ხელწერილი. ამით თქვენ იძულებული ხართ დაემორჩილოთ პარტიის ნება-სურვილს. წინაალმდეგ შემთხვევაში იძულებული ხართ დამფუძნებელი კრება დასტოვოთ და იქ ადგილები თქვენს მომყოლ კანდიდატებს დაუცალოთო.

„სხიველები" არ დაემორჩილენ პარტიის, ან უკეთ რომ ვსთქვათ, ნოე რამიშვილის ასეთ ველურ მოთხოვნილებას. მათ განაცხადეს: ჩვენ ხალხმა, ქართველმა დემოკრატიამ აგვირჩია. თქვენ შეეკითხეთ მას და თუ ის ნდობას წაგვართმევს, ჩვენც დავემორჩილებით მის ნება-სურვილს და დამფუძნებელი კრებიდან წავალთო.

„სხიველების" ასეთი პასუხი დემოკრატიზმისა და დემოკრატიის ღალატად იქნა გამოცხადებული.

— ვინა გდიხართ? ვინ გიცნობთ? რა ხალხი ხართ? თქვენ პარტიის ავტორიტეტით აგირჩიეს, თუ არა პირადათ ვინ გიცნობთ, ვინ გენდობათ?.. და სხვა და სხვა.

მოუსმინოთ თვით დემოკრატიზმის ყოფილ ქალწულებს:

„ამომრჩევლების დიდმა უმეტესობამ, შეიძლება ითქვას, მისმა 90 პროც., არც კი იცნობს ჩვენი პარტიის დეპუტატებს, ზოგიერთებს გარდა. მაგრამ ყველანი იცნობენ ს.-დ. პარტიას, მის მოქმედებას, მის ბრძოლას". (იხ. „ერთობა", № 30, 1921 წელი).

აი დემოკრატიზმის ქალწულების დემოკრატიზმი! თუ დემოკრატიამ, მისმა ოთხმოცდაათმა პროცენტმა არც კი იცის თუ ვის ირჩევს, თუ ამ დემოკრატიის ათი პროცენტის მეტი არ იცნობს თავის პოლიტიკურ ვექილებს, ესე ი. იმათ, ვისაც ის თავის სამკვდრო-სასიცოცხლო ინტერესების დაცვას ანდობს. აბა როგორ შეიძლება ასეთ არჩევნებს დემოკრატიული ვუწოდოთ?

ასეთი არჩევნებისათვის სულაც არ არის საჭირო დემოკრატიზმი, სრულიად მეტია ოთხფორმულიანი არჩევნების სისტემა. ასეთი არჩევნებისათვის საკმაო იქნებოდა ნ. რამიშვილის „განსაკუთრებული რაზმის" ასიოდე აგენტი. მორჩა და გათავდა.

ასეთი არჩევნებისათვის განა ღირდა ბრძოლა და სისხლის ღვრა დემოკრატიის მხრით?

ყოველ შემთხვევაში დემოკრატიზმის ყოფილი ქალწულების ასეთი ყოვლად ცინიკური განცხადება ყველაზე უფრო ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ იმათ, ჟორდანია-რამიშვილს, დემოკრატიათ მხოლოდ და მხოლოდ მათი გაბერილი პიროვნებები წარმოუდგენიათ და დემოკრატიზმის დაცვათ კი—მათი სურვილების დაცვა.

აქ რა შუაშია და რა კიდეში ოთხფორმულიანი დემოკრატიული საარჩევნო სისტემა. აქ პირდაპირ გათელვაა დემოკრატიული პრინციპებისა.

ეს აშკარაა. მაგრამ მაინც ვინ ირჩევს დეპუტატებს ამ ოთხფორმულიანი, მართლაც ვითომ უაღრესად დემოკრატიული სისტემით?

პარტიაო,—ბრძანებენ დემოკრატიის ყოფილი ქალწულები.

მაგრამ მათი ასეთი განცხადება მათთვის დიდათ სახიფათოა. სახიფათოა, რადგანაც ამ გზას ჩვენ მივყევართ ს.-დ. პარტიის დიქტატურისაკენ; ეს კი ყოვლად მიუღებელია დემოკრატიზმის თვალსაზრისით. ს.-დ. პარტია უარჰყოფს თავისი კლასის დიქტატურას. ის ამ ცოდვას კომუნისტებს უყენებს ბრალად.

აქ ორი გარემოება არის საყურადღებო. პირველი ის, რომ პარტია, როგორც ასეთი არაფერ მონაწილეობას არ იღებდა და ვერც მიიღებდა დეპუტატების კანდიდატების სიების შედგენაში, ესე იგი, ამა თუ იმ პირის არჩევნებში ს. ს.-დ. პარტიაში, როგორც გვახსოვს, 80 ათასი წევრი ითვლებოდა. მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამდენი კაცი ერთად ვერ მოახდენდა კანდიდატების დასახელებას. მაგრამ პარტიის ერთი მეათედიც არ იღებდა და ვერ მიიღებდა მონაწილეობას ამ საქმეში. კანდიდატების ასახელებდენ და მათ სიებს ადგენდენ იგივე ჟორდანია-რამიშვილები, ესე იგი ვეებერთელა პარტიის მხოლოდ რამდენიმე წევრი.

ასე და ამრიგად არა თუ მთელი პარტია, არა თუ მისი ფართე მასები, არამედ პარტიის უფრო თვალსაჩინო წევრებიც კი მოკლებული იყვენ საშუალებებს კანდიდატების სიებში მონაწილეობა მიეღოთ... პარლამენტისა თუ დამფუძნებელი კრების წევრები **მაღლიდან ინიშნებოდენ** პარტიის ლიდერების მიერ. არა თუ მთელ დემოკრატიას, პარტიის წევრებსაც არავინ ეკითხებოდა დეპუტატების დასახელებას. როგორც ერთი, ისე მეორე მხოლოდ დროს ჰკარგავდენ უკვე ზევიდან **დანიშნული** დეპუტატების ვითომდა „არჩევნებში“ მონაწილეობის მიღებაში.

ეს იყო საზიზღარი კომედია. ეს იყო ხალხის აბუჩად აგდება, მისი სუვერენული უფლებების მითვისება, ან „ერთობის“ კალმოსნების სიტყვებით რომ ვსთქვათ: „პოლიტიკური ჯიბგირობა“.

აქედან აშკარაა, რომ დემოკრატიზმი მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიის მოსატყუებლად გამოგონილი ხერხი ყოფილა და მეტი არაფერი.

აქედან აშკარაა, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არავითარი დემოკრატიზმი არ არსებობდა. თუ დემოკრატიზმი დემოკრატიის ბატონობას მოასწავებს, აქ არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა... აქ არ იყო ს.-დ. პარტიის ბატონობაც. აქ იყო მხოლოდ და მხოლოდ ჟორდანია-რამიშვილის ბატონობა და არა ხალხის ნებასურვილი, მისი სუვერენობა.

ასეთ დემოკრატიზმს ადვილად შეეგუება, როგორც ცარიზმი, ისე ბონაპარტიზმიც. მეფე ქვეყანას მართავს თავის ერთი მუჭა აგენტებით, ფეხით თელავს ხალხის ინტერესებს და ამას „ღვთის სახელით“ ამართლებს. ჟორდანია-რამიშვილები თავისი აგენტების საშუალებით განაგებდენ საქართველოს ბედ-იღბალს და ამას დემოკრატიზმის სახელით ამართლებდენ...

არსებითად ეს ორი აზრი, როგორც ცარიზმი, ისე დემოკრატიზმი ერთი და იგივე ბუნების არიან. ორივე ხალხის უფლების მითვისებას, „პოლიტიკურ ჯიბგირობას“ ნიშნავს და მეტს არაფერს.

მეორე გარემოება, რომელსაც ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს, შემდეგია:

„სხიველების“ წინააღმდეგ ატეხილ კამათში ჟორდანია-რამიშვილი ს.-დ. პარტიის დიქტატურის დამცველების როლში გამოდიან, ესე იგი იცავენ იმას, რასაც ისინი კომუნისტებს უსაყვედურებდნენ და დღესაც მომაკვდინებელ ცოდვათ უთვლიან.

მკითხველს ეს იმდენად დაუჯერებლად მოეჩვენება, რომ საჭიროდ მიგვაჩნია თვითონ მათი ნაწერიდან სიტყვა-სიტყვით მოვიყვანოთ ამის დასამტკიცებელი ადგილები.

„სოც.-დემოკრატიულმა პარტიამ მისცა მათ („სხივლებს“) მანდატი და იმავე პარტიამ ჩამოართვა მათ ეს მანდატი. და როცა მიუხედავათ ამისა, ისინი მაინც სარგებლობენ ამ მანდატით, რა არის ეს თუ არა პოლიტიკური ჯიბგირობა? გამორიცხულებმა დაიწყეს იმით, რომ უღალატეს პარტიას, ახლა ისინი ღალატობენ უბრალო დემოკრატიზმს და ფეხით თელავენ მის უფლებებს“. („ერთობა“, № 30, 1921 წელი).

ეს პატარა ამონაწერი ბევრ რასმეს გვეუბნება. აქ ჩვენ ცხადათ ვხედავთ, რომ ს.-დ. პარტიის ცენტრალური ორგანო საქართველოს დემოკრატიისა და პარტიის ერთსა და იგივეობას იცავს. ის პარტიის „ღალატს“ მთელი დემოკრატიის „ღალატად“ აღიარებს. აქ პარტია ითვისებს მთელი დემოკრატიის სუვერენულ უფლებებს, რაც იგივე ს.-დ. პარტიის დიქტატურის აღიარებაა.

აქედან აშკარაა, რომ ს.-დ. პარტია მთელი ხალხის ინტერესების დამცველის როლში გამოდიოდა. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს უდიდეს შეუსაბამობასთან. პარტია არ არის და არ შეიძლება იყოს მთელი დემოკრატია. პარტია მხოლოდ ამ მთელის ნაწილია. მაშასადამე პარტიას არ შეუძლია ერთსა და იმავე დროს პარტიაც იყოს და **მთელი** დემოკრატიის წარმომადგენელიც. ასე გაგებული დემოკრატიზმი უარჰყოფს პარტიობას, უარჰყობს კლასობრივ შემეცნებას, უარჰყოფს მარქსიზმს.

ჩვენ გვესმის პარტია, რომელიც ცდილობს თავისი კლასის დიქტატურას, რომელიც ებრძვის და ამარცხებს ყველა სხვა პარტიებს, რომელიც თვითონ გამოდის ქვეყნის ბატონ-პატრონის როლში.

ასე შეუძლია მოიქცეს და ასეც იქცევა კომუნისტური პარტია, რომელიც ეყრდნობა თავისი საკუთარი კლასის, პროლეტარიატის დიქტატურაზე...

ასეთ პარტიას მართლაც აქვს უფლება მანდატი ჩამოართვას თავის ამა თუ იმ წევრს, ამ თუ იმ დეპუტატს. მაგრამ რა უფლება აქვს დემოკრატიაზე მყვირალა პარტიას მანდატი ჩამოართვას დეპუტატს, რომელიც არჩეულია დემოკრატიის მიერ, არჩეულია დამოკრატიული ოთხფორმულიანი სისტემით?

ს.-დ. პარტიის ხელმძღვანელები აქ ერთსა და იმავე დროს თავის პარტიის დიქტატორობაზეც ფიქრობენ, ესე იგი გამოდიან იმ როლში, რომელიც კომუნისტებისათვის მომაკვდინებელ ცოდვათ მიაჩნიათ და თანაც ფეხით თელავენ დემოკრატიზმსაც და დემოკრატიის ინტერესებსაც, ესე იგი, მათივე სიტყვებით რომა ვსთქვათ: ეწევიან პოლიტიკურ ჯიბგირობას.

**ყარიბი.**

# რა ჰქნას საქართველომ

8.

## ჩვენი მიღწევები

დემოკრატიული მთავრობის ერთი უდიდესი ნაკლი ის იყო, რომ მას ყველაფრის ეშინოდა. მან ვერ შეიგნო, რომ „შენი ჭირიმე“—თი სახელმწიფოს აშენება მით უფრო ჩამორჩენილ ქვეყანაში შეუძლებელია, რომ არავის არაფერი ეწყინოს, ყველა კმაყოფილი იყოს, ეს წარმოუდგენელია!

სოციალ-დემოკრატიას კი სურდა სოციალიზმი ისე ჩუმად შემოეღო, ომ არავის გაეგო, თვით მუშებსაც კი.

როცა საქართველოს სოციალ-დემოკრატია ქვეყნის სათავეში მოექცა, ის სრულებით არ ფიქრობდა ეკონომიურ ცხოვრებაში ჩარევას. მის თავში მაგრად იყო გამჯდარი „ლესეფერ, ლესე პასეს“ ფორმულა. მან ხელი ჩასჭიდა „ფეოდალურ ნაშთებს“ და მათ თან გადაჰყვა უდაო დებულება, რომ წარმოების სფეროში ყოველგვარი გარდაქმნა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე უფლებრივ სფეროში—მან აქცია ისეთ გარდუვალ კანონად, რომლის გადალახვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა კაპიტალიზმი თავის წინააღმდეგობათ იქცევა და აბრეშუმის ჭიასა-

ვით ისეთ ქსელს გააბამს, რომ შიგნით თვითონ ჩაიხრჩობა.

აი რამდენიმე ფაქტი ამის საილუსტრაციოთ.

ვინმე კაზლოვსკი ტფილისიდან ესახლებოდა. მან მიმართა მთავრობას, რათა უკანასკნელს მისი სტამბა შეესყიდა. ეს საკითხი იდგა რამოდენიმე კომისიაში, თვეების განმავლობაში იყო მსჯელობა, შევისყიდოთ თუ არა, შევისყიდოთ, თუ უსასყიდლოთ ჩამოავრთვათო და სხვა. იყვენ ისეთებიც, რომლებიც მოითხოვდენ სტამბების ნაციონალიზაციას და, მაშასადამე, წინააღმდეგი იყვენ სტამბია საფასურში კაზლოვსკისათვის რაიმე მიეცათ, რაც კომისიების უმრავლესობაში სასტიკ წინააღმდეგობას იწვევდა. სტამბების ნაციონალიზაცია როგრ იქნება, სტამბებს ვინ მოუვლისო,—იყო პასუხი. არ ვიცი, რით გათავდა ეს საქმე, მხოლოდ ვიცი, რომ დემოკრატიულ მთავრობას სტამბა უსასყიდლოთ არავისთვის ჩამოურთმევია.

ბევრმა, ალბად, არ იცის, რომ ის შენობა, სადაც ახლა მუშათა სასახლე არის, დემოკრატიულმა მთავრობამ შეისყიდა მისი პატრონ-–არამიანცისაგან და გადაიხადა 2900000 მანეთი.

რა იქნებოდა, რომ ეს სახლი არამიანცისავის ჩამოერთვაათ უსასყიდლოთ? რა თქმა უნდა არაფერი, ამისათვის არავინ რევოლიუციას არ მოახდენდა, ან ვის უნდა მოეხდინა იგი?—მუშები ძლიერ კმაყოფილი იქნებოდენ იმით, რომ მათ ერთი საუკეთესო სახლი გადაეცა,გლეხებს ეს საკითხი ნაკლებად აინტერესებდათ, ქართველი პატრიოტებიც კმაყოფილი იქნებოდენ, რადგანაც ის ქართველს არ ეკუთვნოდა. „ობიექტიური პირობები“, მაშასადამე, სავსებით ხელსაყრელი იყო, მაგრამ მაინც შევისყიდეთ, ალბათ, ფული ბევრი გვქონდა და შეგვეძლო აგვესრულებია ძველი თქმულება: „კეისრისა კეისარსა—უფლისა უფალს“-ო.

1920 წელს ნ. ჟორდანიამ დამფუძნებელ კრებას მთავრობის მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გაუკეთა. მოხსენებაში რამოდენიმეჯერ გაიმეორა: **ჩვენ ახალი ხანა დავიწყეთო.** ყველამ ყური აცქვიტა, ყველას აინტერესებდა გაეგო, თუ რაში გამოიხატა ეს ახალი ხანა, მით უფრო, ისეთი რამ, რასაც შეიძლება კაცმა ახალი ხანა უწოდოს, სინამდვილეში არაფერი მომხდარა. ბოლოს, როგორც იქნა, სმენად ქცეულ დამფუძნებელ კრებას ნ. ჟო
სენა: **ჩვენ ვაჭრობა დავიწყეთო!** მოკლედ, რომ ვსთქვათ, დაარსდა მომარაგების სამინისტრო, რომელიც სასურსათო კრიზისს ებრძოდა.—ეს იყო და ეს. მრეწველობის გარდაქმნაზე აქ ლაპარაკიც არ ყოფილა, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ სახელმწიფომ დაიწყო მოქალაქეთა მომარაგებაზე ზრუნვა, ნ. ჟორდანიას იმდენად დიდათ მოეჩვენა, რომ ის ახალ ხანად მონათლა!.

იმის საუკეთესო საბუთს, რომ საქართველოს სოც.-დემოკრატიის მოღვაწეობაში არაფერი სოციალისტური არ იყო, წარმოადგენს მენშევიკების აგრარული რეფორმა. ჩვენი ქვეყანა სამეურნეო ქვეყანაა.აქ სწორ აგრარულ პროგრამასა და პოლიტიკას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

როგორ გადასჭრა ეს საკითხი სოციალ - დემოკრატიამ?

ჯერ ერთი მან მიწების საკმაო ნაწილი მემამულეებს დაუტოვა, შემდეგ ჩამორთმეული მიწები აუქციონში გაყიდა!!

ამ რეფორმით არავინ კმაყოფილი არ დარჩა: მემამულე უკმაყოფილო იყო იმიტომ, რომ მას მიწები მაინც ჩამოართვეს, გლეხები უკმაყოფილონი იყვენ იმიტომ, რომ მათ მიწები ვერ მიიღეს: რაკი ფულზე იყო საქმე, მიწები ბობოლებმა შეიძინეს. ასე რომ **ეს რეფორმა პოლიტიკურად ყოვლად მიუღებელი გამოდგა. სოციალისტური თვალსაზრისით ის ხომ ნამდვილი უნიკუმია მთელს ისტორიაში: სოციალისტმა მემამულეებს მიწები ჩამოართვა იმისათვის, რომ გლეხებზე კერძო საკუთრებად გაყიდო— განა ამაზე მეტი სკანდალი იქნება?...**

ჩვენი გლეხები ამ რეფორმას მეტად ალმაცერად უყურებდენ. თუ—კი ყიდვაზეა საქმე, სჯობია მიწა მის პატრონისაგან ვიყიდო, ვიდრე იმ სახელმწიფოსაგან, რომელმაც მიწა სხვას წაართვაო, ამბობდენ გლეხები და ჩუმჩუმად ნასყიდობის სიგელებს მემამულეებსართმევდენ!

ასეთმა უილაჯობამ შექმნა ის მდგომარეობა, რომლის შესახებ ნ. ჟორდანიამ სთქვა: ჩვენ კატასტროფისაკენ კი არ მივდივართ, არამედ უკვე მივედით.

ეს იყო მდგომარეობის ასე ვსთქვათ ეკონომიური მხარე, ხოლო მისი პოლიტკური რაობა გამოხატა კ. ჩხეიძემ როცა ანტანტის ჯარების ჩვენში შემოსვლის გამო საქართველოს პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა „ჩვენ არც გვრცხვენია, არც გვეშინიაო“, ე. ი. ჩვენი რევოლიუციონური გატაცება არც ისე ღრმა და სერიოზული ყოფილა, რომ ევროპის ბურჟუაზიის გვრცხვენოდეს ან გვეშინოდესო.

არსებითად კი ეს დებულება მის ზოგად ფორმაში, რა თქმა უნდა, ყოვლად მიუღებელია, ვინაიდან ნორმალური აზროვნებისათვის აშკარაა: სამარცხვინოს უნდა გრცხვენოდეს და საშიშარის უნდა გეშინოდეს!

წინააღმდეგ შემთხვევაში ზნეობრივი დეგენერატისა და პოლიტიკური ავანტიურისტის „საპატიო“ სახელი არ აგშორდება!

**ლეო შენგელაია.**

# გვაკმარეთ თქვენი მზრუნველობა

მალე სამი წელიწადი შესრულდება მას შემდეგ, რაც ქართველი ემიგრაციის ბელადებმა ქართველ ხალხს თავს დაატეხეს აგვისტოს ავანტიურა და მით ისტორიაში წაუშელი გახადეს მათი სახელი. და მართლაც რატომაც არ უნდა ახსოვდეს ისტორიას „ქართველ ხალხის ეს ბოროტი სულ.? თუ ბერძენმა გეროსტრატემ ერთი მხოლოდ ეფესის ეკლესიის დაწვით კი უკდავ ჰყო თავისი სახელი, ჟორდანია-რამიშვილმა უფრო დიდი მსხვერპლი არ გაიღეს თავისი უკვდავების საყოფელად?

ასე თუ ისე ძველი საბერძნეთის გმირსა და მე-20 საუკუნის საქართველოს დასახელებულ შვილთა შორის დიდი სულიერი ნათესაობაა. მათ ყველაზე უფრო ანათესავებს გაბერილი და გაბღენძილი თავმოყვარეობა, რომელსაც გეროდოტემ შესწირა ხუროთ მოძღვრების საკვირველება ტაძარი, ხოლო ჟორდანია-რამიშვილმა მრავალ ქართველთა სიცოცხლე.

ჩვენ არ ვიცით თუ რა თვისებები ახასიათებდენ კიდევ საბერძნეთის გმირს, მაგრამ ის კი დადასტურებით ვიცით, რომ ჟორდანია-რამიშვილს ყველაზე უფრო ხელახლა გამინისტრებისა და გმთავრობების ავადმყოფური სურვილი ახასიათებს.

ეტყობა: იმათ სჯერათ, რომ თუ საქართველოსა და ქართველ ხალხს ისინი არ დაუბრუნდნენ მინისტრებად და მმართველებად, ისე მათი არსებობა შეუძლებელია. მათ მათი პერსონების უიმისოთ ვერ წარმოუდგენიათ არა თუ საქართველოს დამოუკიდებლობა, არსებობაც კი...

რომ ეს ასე არ იყოს, განა საფიქრებელია რომ ისინი ისეთ უმსგავსო სადირექტივო წერილებს გამოატანდენ საქართველოში გამოგზავნილ ემისარს ივანე ქარცივაძეს, როგორც მათ ქართველ ხალხს გამოუგზავნეს?

ალბად ეს ყმაწვილები ფიქრობენ, რომ საკმარისია ქართველმა ხალხმა გაიგოს, რომ ნ. რამიშვილი ხელახლა აპირობს საქართველოს გაბედნიერებას და ის, ქართველი ხალხი იმ წამსვე უღალატებს საბჭოთა ხელისუფლებას და ჟორდანია-რამიშვილს მოუწოდებენ ქვეყნის ბატონ-პატრონათ.

განა ცოტა ბედნიერება მიანიჭეს ჟორდანია-რამიშვილმა მათი ხელისუფლების დროს ქართველ ხალხს, რომ ამ უკანასკნელმა ასე ადვილად დაივიწყოს მათი ამაგი? ოღონდ იმათ კი გააბედნიერონ ქართველი ხალხი მათის მობრძანებით.და იგი თუნდაც ეშმაკსაც კი შეებრძოლება.

მაგრამ უკაცრავად ბრძენო პოლიტიკოსებო! ქართ-

ველი ხალხი დღეს ის აღარ არის, რაც 1924 წლის აგვისტომდე იყო, ის უკვე დაჭკუიანდა. მან უკვე გაუცნო გემო თქვენს ავანტიურას, მან უკვე დააფასა თქვენი „მოღვაწეობა". ქართველი ხალხი მეორედ აღარ წამოეგება თქვენს პროვოკაციულ ანკესზე.

თქვენმა ავანტიურამ დიდი და აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა ქართველ ხალხს, მაგრამ მან ერთი სარგებლობა მაინც მოუტანა მას. აგვისტოს უბედურებამ ერთხელ და სამუდამოთ გასწმინდა საქართველოში თქვენ მიერ შექმნილი პოლიტიკური ბურუსი და ხალხს სამუდამოთ აუხილა თვალები. თურმე საჭირო იყო ისეთი დიდი უბედურება, რომ ხალხს უკეთესად შეეგნო თავისი ინტერესები, უკეთესად გაეცნო მტერი და მოყვარე... მან უკვე იცის, რომ მხოლოდ პირადი ინტერესებით შეპყრობილ ადამიანს შეუძლია უთხრას ქართველ ხალხს: ოსმალეთის ორიენტაცია სჯობს რუსეთთან კავშირსო. აბა გაბედოს მოქ. რამიშვილმა და ასეთი რამე უთხრას ხალხის ყრილობას, ის ვერ გადაურჩება ხალხის რისხვას.

მაგრამ ნ. რამიშვილს რა ენაღვლება? ის საქართველოს საზღვრების გარეშე ბრძანდება, ქართველი ხალხის რისხვა მას ვერ მისწვდება.

ქართველ ემიგრაციის ბელადები დღეს თვითონაც ვერ იტყვიან უარს იმაზე, რომ აგვისტოს ავანტიურა მათი მოწყობილი იყო. ამ ავანტიურამ უამრავი მსხვერპლი შეიწირა. ნუ თუ არ ეყო ამ ავანტიურისტებს ამდენი მსხვერპლი? ეტყობა ისინი ვერ გაძღენ დაღვრილი სისხლით. ეტყობა მათ კიდევ სწყურიათ ქართველი ხალხის სისხლი გვიგზავნიენ ემისრებს და ისევ და ისევ ცდილობენ ხალხის გაბრიყვებას და კვლავ მისი სისხლის დაღვრას.

ნ. რამიშვილი კიდევ არ ცხრება. ს. ს.-დ. მუშათა პარტიის ყოველი წევრები კარგად იცნობენ ნ. რამიშვილს. იმათ რიცხვში ორ ისეთსაც ვერ შეხვდებით, ერთს ნ. რამიშვილი არ სძულდეთ. ძველ მუშებში თქვენ ვერ შეხვდებით ისეთს, რომელიც ნ. რამიშვილს ქართველი ხალხის ბოროტ სულად არ იხსენიებდეს. მაგრამ, როცა ამ ტიპიურ ავანტიურისტს გვერდს უმშვენებს ნ. ჟორდანია, რომელსაც მისი ყოფილი ამხანაგები ყველაზე უფრო ენდობოდენ, ყველაზე უფრო სწამდათ მისი კეთილი გონიერება,—ეს კი მეტის მეტად აღმაშფოთებელია. აღმაშფოთებელია, მაგრამ სამწუხაროდ და სავალალოდ ფაქტია,, რომ რამიშვილი და ჟორდნია ერთად მოქმედებენ, ერთად უწყობენ ქართველ ხალხს საშინელ ავანტიურას. ავანტიურისტი რამიშვილი მოქმედებს რომის პაპისა და კენტენბერიის ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევით. მათ საქართველოში არავინ დაუჯერებდა და აგვისტოს ავანტიურაც შეუძლებელი იქნებოდა. ნ. რამიშვილი მოქმედებს ნ. ჟორდანიას სახელით, მისი ლოცვა-კურთხევით, მოქმედებს როგორც ნ. ჟორდანიას ნება-სურვილის პრაქტიკულად განმახორციელებელი. ამას კი ვერ ურიგდება ძველი მუშების, ძველი რევოლიუციონერების გრძნობა-გონება. მაგრამ რა გაეწყობა, ს.-დ. ძველი წევრები უკვე გამოერკვნენ რომანტიზმის ბურუსიდან, ისინი უკვე შეურიგდენ იმ აზრს, რომ დღეს ნ. ჟორდანიაც ავანტიურისტ რამიშვილის აზრს დაადგა. მან კიდევ უფრო შეუწყო ხელი იმ გარემოებას, რომ ს.-დ. ყოფილმა წევრებმა, ამ პარტიის სასიცოცხლო ძალებმა უკვე მონახეს ნამდვილი სოციალისტური, ნამდვილი რევოლიუციონური გზა, ისინი, თუმცა ცოტა გვიან, მაგრამ მაინც მივიდენ თავის ბუნებრივ ადგილზე. ისინი შეუერთდენ და შეუსისხლხორცდენ კომუნისტურ პარტიას. ისინი დღეს კომუნისტურ პარტიასთან ერთად აწარმოებენ სახელმწიფო აღმშენებლობას, კიდევ მეტი: კომუნისტებთან ერთად იარაღით ხელში უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ საბჭოთა საქართველოს დასაცავად, როგორც შინაური, ისე გარეშე მტრებთან. ს. ს.-დ. ყოფილმა წევრებმა უკვე შეუერთეს თავის ბედი კომუნიზმისა და კომუნისტების ბედს—არა მარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

და მათ ამ გზიდან ვერ დააბრუნებს ვერც ემისრების მანდატით აღჭურვილი ქარციეაძეები. მათ ამ გზიდან ვერ დააბრუნებენ, ვერც მანდატების ავტორები—ჟორდანია-რამიშვილები.

ს. ს.-დ. პარტიის ყოფილი წევრები შეუჩერებლად წავლენ კომუნისტებთან ერთად იმ ეკლიანი გზით, რომელიც მიდის სოციალიზმისაკენ. ისინი ან შევლენ ამ გზით სოციალიზმის სამეფოში, ან მოკვდებან.

ეს უნდა იცოდნენ ჟორდანია-რამიშვილმა. ეს უნდა შეიგნონ მათ ერთხელ და სამუდამოთ—და ნუ გაირჯებიან ემისრებისა და სადირექტივო წერილების გამოსაგზავნათ.

ს. რობაქიძე.

# ეკონომიკა პატრიოტიზმზე ძლიერია

ოქტომბრის რევოლიუციით დამფრთხალი კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობებს პირველ ხანებში ლაპარაკიც კი არ სურთად საბჭოთა მთავრობასთან. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ვერ გაუძლევებოდა — ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეს და მალე დამარცხდებოდა.

როდესაც მათი მოლოდინი არ გამართლდა, ხელი მიყვეს ინტერვენციის მოწყობას და იარაღით ხელში ცდილობდენ საბჭოთა ქვეყნების დამარცხებას.

მაგრამ კაპიტალისტებს ბედმა აქაც უმტყუნა. საბჭოთა ხელისუფლებამ მშრომელი ხალხის აქტიური დახმარებით, სასტიკად დაამარცხა, როგორც გარეშე მტრები, ისე შინაური კონტრ-რევოლიუცია.

თავისთავად ცხადია, რომ სამოქალაქო ომმა და ინტერვენციამ საგრძნობი ზარალი მიაყენა სახალხო მეურნეობას. დაეცა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა გამომუშავებულ პროდუქციის რაოდენობა და ამან შექმნა საქონლის ნაკლებობა. ამას ზედ დაერთო 1922 წლის მოუსავლიანობა და აქედან გამოწვეული შიმშილობა, რითაც კაპიტალისტებს ერთხელ კიდევ აღეძრათ მათი მიზნების განხორციელების იმედები. ისინი ფიქრობდენ, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ეკონომიური სიდუხჭირე აიძულებდა კაპიტალისტებისათვის მიემართა დახმარებისათვის.

მაგრამ, როდესაც მათი ოცნება არც აქ გამართლდა, იკადრეს მოლაპარაკების დაწყება საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის შესახებ.

1921 წლის მარტში **ლოიდ-ჯორჯის** მთავრობამ დასდო საბჭოთა ხელისუფლებასთან სავაჭრო ხელშეკრულება. დანარჩენი კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობები ამ გარემოებამ ააშფოთა. ისინი შეშინდენ, რომ საბჭოთა ქვეყნების დიდი ბაზარი მარტო ინგლისს არ ჩავარდნოდა ხელში და სწორედ ამიტომ იყო, რომ 1922 წლის დასაწყისში საფრანგეთის მთავრობის ინიციატივით მოწვეულ იქნა გენუის კონფერენცია.

რისთვის სჭირდებოდათ ამ კონფერენციის მოწვევა კაპიტალისტური ქვეყნების მესვეურებს?

იმიტომ, რომ ისინი ფიქრობდენ შეერთებული ძალით შესძლებდენ აეძულებიათ საბჭოთა ხელისუფლება მათთვის მისაღებ პირობებზე ხელი მოეწერა.

როგორც ვიცით, კაპიტალისტებმა ვერც აქ მიაღწიეს თავის მიზანს და გენუის კონფერენცია უშედეგოდ დამთავრდა.

კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არსებულ წინააღმდეგობით შესაფერისად ისარგებლა საბჭოთა მთავრობამ და ამ ხნის განმავლობაში მან მრავალ სახელმწიფოებთან შესძლო სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა.

საბჭოთა ქვეყნებთან ვაჭრობაში ყველაზე უფრო დაინტერესებული იყო ომში დამარცხებული გერმანია. ტეხნიკურად უაღრესად განვითარებულ გერმანიის სასიცოცხლო ინტერესები გადაუდებელ ამოცანად უყენებდა მის ხელმძღვანელებს ფართე სავაჭრო აღებ-მიცემობა ეწარმოებიათ საბჭოთა კავშირთან, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა ჩამოარ-

თვეს მას მთელი თავისი კოლონიები და საკუთარი მიწა-წყალის საგრძნობი ნაწილი.

გერმანიის დიპლომატიამ სწორედ გენუის კონფერენციის მუშაობის დღეებში დასდო საბჭოთა მთავრობასთან რაპალოს ხელშეკრულება, რითაც ანტანტის სახელმწიფოებისაგან დიდი გულისწყრომა დაიმსახურა.

ამჟამად ჩვენ აღარ გამოუდგებით ყველა იმ გამარჯვებების ჩამოთვლას, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლებამ მიაღწია კაპიტალისტურ ქვეყნებთან მოლაპარაკების საქმეში.

მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ იმ ორ ფაქტზე, რომელსაც უკანასკნელ კვირაში ქონდა ადგილი.

ესენი გახლავთ ინგლის-ამერიკის სანავთო კომპანიების ბრძოლა საბჭოთა ნავთისთვის ბოიკოტის გამოცხადების საქმეში და პოლონეთის მთავრობის პოლიტიკის შეცვლა საბჭოთა ხელისუფლებასთან დამოკიდებულების საკითხში.

ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ, შუბლმაგარი კონსერვატორები ყოველმხრივ ცდილობენ ეკონომიური ბლოკადის რკალი შემოარტყან საბჭოთა კავშირს და მოუსპონ მას საშუალება გარეშე ქვეყნებთან ნორმალური აღებ-მიცემობისათვის.

როგორც ვიცით, ამერიკის კაპიტალისტები განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში ძლიერ დაინტერესებული არიან საბჭოთა ქვეყნების ბაზრით.

ამერიკაში არსებობს კარგა ძლიერი მიმდინარეობა სენატორ ბორას მეთაურობით, რომელიც მოითხოვს საბჭოთა კავშირის დაუყოვნ. ცნობას და მასთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენას. რაც შეეხება ვაჭრობის წარმოებას, ამის წინააღმდეგი დღეს ამერიკაში თითქმის აღარავინაა.

ჯერ-ჯერობით ინგლისელმა ნავთის მაგნატებმა იმას მიაღწიეს,რომ ამერიკის ნავთის კომპანიის ერთ-ერთმა ფირმამ, სახელდობრ: „სტანდარტ-ოილ ნიუ ჯერსმა“ გამოვიდა პრესაში განცხადებით, რომელშიაც პროტესტს აცხადებს დანარჩენ ფირმების წინააღმდეგ, რომლებიც ვაჭრობას აწარმოებენ საბჭოთა ნავთის პროდუქტებით.

რამ აუშალათ ნერვები ამ ვაჟბატონებს?

ამის საუცხოვო დახასიათებას გვაძლევს ამერიკის ერთ-ერთი გაზეთი „უოლსტრიტ ჯორნალი“, რომელიც სწერს:

„კომპანია როიალ დეტჩი“ (ინგლისური ნავთის კომპანია) 1922 წელში იყო საბჭოთა ნავთის პირველი შემსყიდველი. ამ კომპანიას, რომელიც ამჟამად ილაშქრებს საბჭოთა ნავთის შესყიდვის წინააღმდეგ, ახლო აღმოსავლეთში აქვს საკუთარი ნავთიანი რაიონები. „როიალ დეტჩ შელ“-ი და „სტანდარტ ოლ“-ი წარსულ წელში აპირებდენ შეთანხმების დადებას საბჭოთა ნავთის შესყიდვის შესახებ. მოლაპარაკება არ დასრულდა მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოთა მთავრობამ უარი უთხრა ინგლისელებს ნავთის ექსპორტის მონოპოლიის მიცემაზე“.

აი, თურმე სად არის მთელი საიდუმლოება ინგლისელ ნავთ. მაგნატების გაბოროტებისა. ისინი მოლაპარაკებას აწარმოებდენ საბჭოთა ხელისუფლებასთან და სურდათ ხელში ჩაეგდოთ მსოფლიოში ნავთის გასაღების მონოპოლიური უფლებები, ხოლო, როდესაც საბჭოთა მთავრობა მათ არ დაეთანხმა და მიზანს ვერ მიაღწიეს, ამის შემდეგ ასტეხეს განგაში და თავიანთ პრესაში სწერენ: „მოპარული ნავთით ვაჭრობის მომხრენი უადვილებენ ბოლშევიკებს ყველა განათლებულ სახელმწიფოების წინააღმდეგ ომის წარმოებასო“.

აქ ლაპარაკია ამერიკულ ნავთის კომპანიებზე, რომლებმაც ამას წინად ხელშეკრულება დასდეს საბჭოთა ნავთის პროდუქტების შეძენის შესახებ. მოპარულს კი იმიტომ უწოდებენ, რომ საბჭოთა მთავრობამ უსასყიდლოდ ჩამოართვა ნავთის მაგნატებს თავიანთი ნავთის წყაროები ბაქოსა და გროზნოში.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რამდენიც არ უნდა იხჩირკედელაონ ამ ვაჟბატონებმა, დღეს ნავთი იმდენად მიმზიდველი რამ არის კაპიტალისტებისათვის, რომ ბოლოს ისინი მაინც იძულებულ გახდებიან საბჭოთა ნავთის პროდუქტები შეისყიდონ ჩვენთვის მისაღებ პირობებში.

დღევანდელი მათი ახმაურება გამოწვეულია მხოლოდ იმით, რომ შეაფერხონ საბჭოთა კავშირის ეკონომიური წინმსვლელობა, მაგრამ ტყუილი იმედებია. ჩვენ არა ერთხელ ვყოფილვართ ასეთი მოვლენების მოწმე, რაც ყოველთვის საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით დამთავრებულა.

ნავთის მაგნატებმა საბოლოოდ თავი უნდა დაანებონ იმაზე ფიქრს, რომ ოდესმე ისინი ეღირსებიან ბაქოს ნავთიანი ადგილების ხელში ჩაგდებას, თუ გინდ ამაზე ათასი დაპირებაც მისცენ აქედან გადახვეწილმა კავკასიის ბუტაფორულმა „მთავრობებმა“, რომლებიც პარიზში არიან მოკალათებული.

მათთვის გაცილებით უმჯობესია ნორმალური ვაჭრობის წარმოება, თორემ ბოიკოტის გამოცხადებით ისინი უფრო მეტს დაჰკარგავენ.

და რომ ეს ასეა, ეს სჩანს თუ გინდ პოლონეთის მთავრობის უკანასკნელი მოქმედებიდან.

უკანასკნელ დრომდე ხსენებული ქვეყნის მთავრობა ინგლისელ კონსერვატორების ზეგავლენით ყოველთვის გაურბოდა საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებას. აქამდისაც ვერ მოხერხდა პოლონეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დადება.

უკანასკნელად პოლონეთში მოხდარ ამხ. ვოიკოვის მოკვლამ კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა. ბევრი დარწმუნებული იყო, რომ ამას უსათუოდ ომის გამოცხადება მოჰყვებოდა ამ ორი ქვეყნის შორის. მკვლელობის პირველ დღეებში კიდეც სჩანდა ამის ნიშნები, მაგრამ საბჭოთა მთავრობის მშვიდობიან პოლიტკამ თავისი ნაყოფი გამოიღო და ომის საშიშროება ამ მოკლე დროში მაინც თავიდან იქნა აცილებული.

დღეს, როგორც სჩანს, პოლონეთის მთავრობასაც შეუგნია თავისი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესები და ფიქრობს საბჭოთა კავშირთან სავაჭრო და საგარანტიო ხელშეკრულების დადებისათვის მოლაპარაკების განახლებას.

ამ მიზნით პოლონეთის ელჩი საბჭოთა მთავრობასთან —პატეკი, კარგა ხანია რაც გამგზავრებული იყო პოლონეთის მთავრობასთან ინსტრუქციების მისაღებად და ვოიკოვის მკვლელობის გარშემო შექმნილ უთანხმოების მოსაგვარებლად.

ამჟამად პატეკი უკვე დაბრუნდა მოსკოვში. ამის გამო გაზეთი „გლოს პრავდი“ სწერს:

„პატეკს თან მიაქვს გარკვეული ინსტრუქციები ვოიკოვის მკვლელობის გამო შექმნილ გამწვავებულ ურთიერთობის სალიკვიდაციოდ. ამის შემდეგ პატეკი განაგრძობს მოლაპარაკებას სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ“.

თვით პატეკმა გაზეთების თანამშრომლებს შემდეგი განუცხადა:

„მივდივარ, რათა ადგილობრივ განვაგრძო მოლაპარაკება. მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მწამს, რომ მოლაპარაკება გამოიღებს სასურველ ნაყოფს და მიღწეული იქნება შეთანხმება“.

თუ ამას დაუმატებთ პოლონეთის პრეზიდენტის უარს კავერდასთვის სასჯელის შემსუბუქების შესახებ, ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ პოლონეთის მთავრობამ უკანასკნელი კვირეების განმავლობაში საგრძნობლად შესცვალა თავისი პოლიტიკა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საქმეში.

ახლო მომავალი დაგვანახვებს, თუ რამდენად ფართე ხასიათს მიიღებს ამ პოლიტიკის გამტარებელთა საქმიანობა პოლონეთის მთავრობის მხრივ. ხოლო რაც შეეხება საბჭოთა ხელისუფლებას, ის სიამოვნებით შეხვდება ყოველგვარ გულწრფელ ცდას ყველა ქვეყნებთან და განსაკუთრებით მოსაზღვრე სახელმწიფოებთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენისათვის.

საბჭოთა მთავრობის მთავარი გულისყური ყოველთვის იქითკენ არის მიმართული, რომ ხელი შეუწყოს მშვიდობიანობის საქმის განმტკიცებას.

**ს. ელიაძე.**

# ახალი ურმული

ღამეა. მთვარე ქათქათებს,
ვარსკვლავნი კრთიან ცაზედა,
ურემი მიდის ჭრიალით
გატკეცილ შარა გზაზედა.
მყუდროებაა, ტყესაც კი
ჩასძინებია ძალზედა,
მხოლოდ მეურმე ღიღინებს
ურმულის ნაზ-ტკბილ ხმაზედა.
მღერის მეურმე: მთვარეო,
პირ-ბადრო მოელვარეო,
შენთან ზაჰესის სალამი
მთიდან-მთას დავაბარეო.
—ჰამო, გამიწით ხარებო,
არ გადამჩეხოთ კლდეზედა,
არ ამიცრემლოთ ცოლ-შვილი,
გლოვათ არ დასვათ ჩემზედა.
მეყო, რაც ბატონ-ყმობაში
ვაება გადამხედია,
რაც რკინის მონურ უღელში
წახრილი მქონდა ქედია.

—ჰარი-ჰარალე-ჰარალო,
ვარალე, ჩემო შვინდაო,
ჩვენი მიმქრალი ვარსკვლავი
ძლივს წითლად გამობრწყინდაო.
ჩვენს ნაბატონარს უჩვენოთ
ცხოვრება გაუმძიმდაო,
მღვდელ-დიაკვანს და ჩარჩ-ვაჭარს
ნაღველა გაუსივდაო,
მამასახლისს და გზირ-ნაცვალს
ძველი დრო გაუფრინდაო,
ციებ-ცხელებით ცახცახებს.
ხალხს ისე შეუშინდაო.
—ჰოი, ჰარალე, ჰარალო,
ვარალო, ჩემო შვინდაო,
მალე შენც ტრაქტორი შეგცვლის
და მეტი რაღა გინდაო.
თუმცა წარსულმა ცხოვრებამ
უზომოთ გაგვამწარაო,
მაგრამ მომავლის იმედი
უქმად არ ჩაიარაო.
შეკავშირებულ მუშებთან
ვიარეთ მხარდამხარაო,
თოფ-იარაღიც ავისხით,
ზღვა სისხლიც დაიღვარაო,
მაგრამ დავამხეთ მონობა,
ზედ წარღვნამ გადიარაო,
განთავისუფლდა მშრომელი,
ბორკილი აეყარაო
და თვისი ხელისუფლება
ხმლით ხელში დაამყარაო
ძლივს მოისვენა ქვეყანამ,
მტერს მიწა მიეყარაო,
დიდიხნის ტანჯულ-გვემულმა
ხალხმაც ძლივს გაიხარაო,
—ჰამო, გამიწით ხარებო,
გრძელი გზა გვიმოკლდებაო,
ილევა ბინდი ღამისა,
საცაა გათენდებაო.

გ. ქუჩიშვილი.

# რატომ დავაარსეთ ყოფ. მენშევიკ ქალთა სექცია

ამ ერთი თვის წინად ყოფილ მენშევიკთა განყოფილებასთან დაარსდა ყოფილ მენშევიკ ქალთა სექცია. მე მინდა ამხ. ქალებს გავუზიარო ამ სექციის მუშაობის გეგმა და მიზანი.

მართალია, ჩვენში ჯერ კიდევ შეხვდებით ისეთ პირებს, რომლებიც ამა თუ იმ ყოფილ მენშევიკების მუშაობას ხსნის „მოსყდულობით“ და „გამყიდველობით“, მაგრამ თავი მით უნდა ვინუგეშოთ, რომ თვით ასეთი პირები ჩვენზე ათას წილად უფრო კარგადა გრძნობენ თავს პირადი მატერიალური კმაყოფილების მხრით, ვიდრე ყოფილი ს.-დემოკრატები. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ თუ ვისიმე „გასყიდვაზე“ შეიძლება ლაპარაკი ყოველ შემთხვევაში არა ყოფილ მენშევიკებზე.

ეს ჩვენთვის სულ ერთია: ჩვენთვის, ესე იგი, იმათთვის, ვინც თავ მოვიყარეთ ყოფილ-მენშევიკ ქალთა სექციაში, გზა გარკვეულია. ორჭოფობასა და მერყეობას ჩვენს რიგებში ადგილი არა აქვს.

ჩვენ სრულის შეგნებით ვდგებით საბჭოთა პლატფორმაზე, სრულის შეგნებით ვიცავთ ჩვენს საბჭოთა სამშობლოს. ვიბრძვით და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ მის ასაყვავებლად და ასაღორძინებლად. და დღეს, როდესაც მსოფლიო ბოროტება, ბურჟუაზიის სახით თავს იყრის და ეპირება საბჭოთა ხელისუფლებას თავს დაეცეს, რა თქმა უნდა, ჩვენ მთელის ჩვენი ძალ-ღონით ვდგევართ და დავრჩებით რევოლიუციის სადარაჯოზე.

ასე მოიქცენ ჩვენი ამხანაგი მამა-კაცები და ასე უნდა მოვქცეულიყავით ჩვენც და ეს არა მიმბაძველობით, არა სხვისი რჩევითა და დარიგებით, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენის საკუთარის თვალებით ვხედავთ, რომ კომუნისტური პარტია მთელს მსოფლიოში ერთად-ერთი დამცველია ყველა მშრომელთა და მათ შორის ისტორიულად დაბეჩავებულ ყოველგან და ყოველთვის ადამიანურ უფლებას მოკლებული დედაკაცისა.

როგორი იყო ქალთა უფლებრივი მდგომარეობა ძველი რეჟიმის დროს?

ქალი მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებას, ის მხოლოდ მამაკაცების სათამაშო საგნად იყო გადაქცეული. როგორია დღეს ქალის მდგომარეობა საბჭოთა კავშირში?

ქალი სრულუფლებიანი წევრია საბჭოთა საზოგადოებისა, ის ისეთივე უფლებებით არის აღჭურვილი, როგორც მამა-კაცი, როგორც ეკონომიურად, ისე უფლებრივ სფეროში.

ჩვენ კიდევ მეტს ვიტყვით: საბჭოთა კავშირში ქალის საკითხის ასთე გადაჭრამ მთელი რევოლიუცია მოახდინა იმავე საკითხში. ბურჟუაზიულ სახელმწიფოებშიაც, რომლებიც საბჭოთა კავშირის პრეცენდენტის მიხედვით იძულებული შეიქნენ დედაკაცის მდგომარეობა იურიდიულად და ეკონომიურად ცოტათი მაინც გაეუმჯობესებიათ.

რა მოგვივა, რომ საბჭოთა წყობილება დაემხოს? დედაკაცი შეიქნება ისევ არარათ როგორიც იყო წინეთ, ნიკოლოზის დროს და მან უნდა ჩაიწყვიტოს ხმა, როგორც მონამ, როგორც უფლება აყრილმა პიროვნებამ.

რა უნდა ვქნათ, როცა იმპერიალისტური სახელმწიფოები დამხობას ექადნიან ჩვენს საბჭოთა ხელისუფლებას, სოციალიზმს და მაშასადამე ქალთა თავისუფლებასაც?

უნდა უკუვაგდოთ პარტიული ჟინიანობა, სოციალიზმისა და მაშასადამე ჩვენი საკუთარი სასიცოცხლო ინტერესებისათვის.

ჩვენ, ქალებმაც უნდა მივბაძოთ ჩვენს ძმებს მუშებს, რომლებმაც უკვე გაფანტეს ს.-დ. ლიდერების მიერ შექმნილი ბურუსი კომუნისტების ბარბაროსობაზე. ჩვენ მუდამ იმას გვასწავლიდენ ჩვენი ყოფილი ლიდერები, რომ ბოლშევიკები ბარბაროსები არიან, ისინი ანგრევენ ყველაფერს, მაგრამ გაკეთება კი არაფრის არ შეუძლიათო. ბოლშევიკები მოსპობენ საქართველოს დამოუკიდებლობას, ისინი ცენტრისაკენ გაუყენებენ ხალხის ყოველგვარ სიმდიდრესო და სხვადასხვა.

სინამდვილემ რა დაგვანახა?

ბოლშევიკები მართლაც ანგრევენ. მაგრამ ისინი კიდევ უფრო აშენებენ. ანგრევენ და მიწასთან ასწორებენ ყველაფერ დრო გადასულს, ცხოვრების ხორცმეტს, ცხოვრების ხელის შემშლელს, თვით ისტორიის მიერ დასანგრევად და მოსასპობად განწირულს...

აშენებით კი აშენებენ ცხოვრებისთვის აუცილებლად საჭიროს, ქმნიან ახალ ღირებულებებს, აშენებენ ახალ ცხოვრებას, ახალ კულტურას, აშენებენ ახალ ქვეყანას, ქმნიან ახალ კაცობრიობას... და იცით კიდევ რას? ქმნიან ახალ საქართველოს, ეკონომიურად და მაშასადამე პოლიტიკურადაც დამოუკიდებელს, თავისუფალ საქართველოს.

ვინც ამას არ ხედავს,—ის ბრმა არის, ვინც ამას არაცნობს,—ის გაბოროტებულია, ის პირადი ინტერესებით არის შეპყრობილი, მას არ უყვარს თავისი ქვეყანა, არ უყვარს მშრომელი ხალხი, მას ქვეყანა და ქვეყნის საქმე ფეხებზე ჰკიდია!

ვისაც კი შერჩენია პოლიტიკური სინიდისი, ის დაგვეთანხმება, რომ რაც დღეს საქართველოს შრომელი

ხალხისთვის კედთება, მთელი ასი წლის განმავლობაში მისი ნახევარი არ გაკეთებულა საქართველოში.

და ყოველი ეს არ უნდა დავიცვათ? ყოველი ამის შესანარჩუნებლად უკანასკნელი სისხლის წვეთამდე არ უნდა ვიბრძოლოთ?

და მერე რატომ?

მხოლოდ იმიტომ, რომ ამას აკეთებს საბჭოთა ხელისუფლება, კომუნისტები და არა ჟორდანიას მთავრობა და მენშევიკები?

მერე ქვეყნისთვის ეს სულ ერთი არ არის?

დღეს მთელი მსოფლიო გაყოფილია ორ ბანაკად. ერთ მხარეზეა მუშათა კლასი, რომელიც იბრძვის სოციალიზმისთვის, მეორე მხარეზე მსოფლიო ბურჟუაზია, რომელიც სცდილობს გასრისოს მუშათა კლასის ყოველგვარი მონაპოვარი. ამ ორ ძალთა შორის სწარმოებს შეურიგებელი, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი. ან ერთი უნდა დარჩეს, ან მეორე. ორივეს ერთად არსებობა არ შეიძლება.

ვისთან უნდა ვიქნეთ ჩვენ ამ გადამჭრელ ბრძოლაში, ვის უნდა ვუდგეთ გვერდით? ვისთან ერთად უნდა ვიბრძოდეთ? ვის უნდა ვებრძოლოთ?

აქ ორი აზრი არ შეიძლება. მე არ მინდა შეურაცხყოფა მივაყენო ყოფილ მენშევიკ ქალებს იმისი მტკიცებით, რომ ჩვენ კომუნისტების რიგებში უნდა ვიყოთ. ამაზე ლაპარაკი იმას ემსგავსებოდა, რომ კაცმა სერიოზულად ამტკიცოს: დღე დღე არისო და ღამე-ღამე.

სამწუხარო და სავალალო მხოლოდ ის არის, რომ ჩვენ მენშევიკმა ქალებმა ერთობ დავაგვიანეთ პოლიტიკური ბუროსიდან გამორკვევა. მამაკაცებმა ამ მხრითაც გვაჯობეს ჩვენ. მომენტი მეტს არ ითმენს. ჩვენს სექციასთან უნდა თავი მოიყაროს იმ ქალებმა, რომლებიც იზიარებენ ჩვენს ახალ ნაბიჯს, რომლებიც იზიარებენ ჩვენი ძმების, ქმრებისა და შვილების—მუშების მიერ კიდევ უფრო ადრე გადადგმულ ნაბიჯს.

ვიმეორებ: ჩვენ ისეც მეტის-მეტად დავაგვიანეთ. ემიგრაციის ბელადებმა ჩვნი სიჩუმე ჩვენი მათდამი თანაგრძნობათ მიიღეს და, ალბათ, ის იყო მიზეზი, რომ ახალი ავანტიურა შემოგვთავაზეს. ჩვენ მათ ერთხელ და სამუდამოთ უნდა ვუთხრათ, რომ ისინი სცდებიან, რომ ჩვენ ქართველი ქალები, ქართველი დედები, მათთან არა ვართ, რომ ჩვენ ვიწამეთ საბჭოთა საქართველო, მთელის ჩვენის ძალ-ღონით ვემსახურებით მას, უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დავიცავთ მას ყოველი ჯურის მტრებიდან, საიდანაც არ უნდა მოვიდეს და რა დროშითაც არ უნდა მოგვევლინოს იგი.

დეე, გვაგიონონ, დეე ჯაშუშები, ქვეყნის გამყიდველები და გაყიდულები გვიწოდონ ქართველი ემიგრაციის იმედ დაკარგულმა ლიდერებმა.

ჩვენ ზიზლით ვუპასუხებთ მათ და შეუდრეკლად განვაგრძობთ ჩვენს გზას, ერთად ერთ გზას, რომელიც შეეფერება ძველ მარქსისტებს, ძველ რევოლიუციონერებს, ძველ სოციალისტებს, რომლისთვისაც ჩვენ წარსულში ვიბრძოდით, რომლისთვისაც სიცოცხლეც არ დაგვიზოგავს.

ჩვენ უკვე გადავაფასეთ მთელი ჩვენი წარსული. ჩენ უკვე მთლიანად და სავსებით მივიღეთ უდიდესი რევოლიუცია. ჩვენ უკვე მივედით მუშურ და გლეხურ ხელისუფლებასთან და კიდევ მეტის ენერგიით, მეტის თავგამეტებით ვიმუშავებთ და ვიბრძოლებთ კომუნისტების რიგებში, ვიდრე ვმუშაობდით სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

**ოლიმპიადა ბაქრაძე.**

# რას ამბობენ ციფრები

2.

### ‥ აბანოები

აბანოები ქალაქის კომუნალურ მეურნეობის მთავარი დარგთაგანია. ქალაქის ყველა გოგირდის აბანოები მუნიციპალიზაციაქმნილია. ამჟამად აღმასკომის განკარგულებაში 12 გოგირდის აბანოა. ქლაქის მმართველობა დიდ ყურადღებას აქცევს მათ კეთილმოწყობას და ფართო მასისათვის ხელმისაწდომათ გადაქცევას. 1926 წ. აბაების კაპიტალურ შეკეთებაზე 300.000 მანეთი დაიხარჯა.

აბანოებით მოსარგებლეთა რიცხვი ყოველწლობით იზრდება. მაგალითად იყო მობანავე:

| | |
|---|---|
| 1923 წელს | 930.385—100,0% |
| 1924 წელს | 1.040.551—111,8% |
| 1925 წელს | 1.232.386—132,5% |
| 1926 წელს | 1.272.269—136,7% |

სამი წლის განმავლობაში მობანავეთა რიცხვი გაიზარდა 36,7 პროც., მოსახლეობის რიცხვი კი მხოლოდ 14,5 პროც. გაიზარდა, ასე, რომ თითეული მოქალაქე 1923 წელთან შედარებით 1926 წელს ორჯერ-მეტად სარგებლობს აბანოთი.

აბანოების აღდგენაშეკეთებას მოყვა მათი ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესიბ[illegible]. მაგალითად შემოსავალ-გასავალი უდრის:

| | შემოსავალი | გასავალი |
|---|---|---|
| 1923 წ. | 137.791 მ.—100,0% | 113.721 მ.—100,0% |
| 1924 წ. | 261.402 მ.—189,0% | 155.515 მ.—136,8% |
| 1925 წ. | 394.215 მ.—286,1% | 175.907 მ.—154,7% |
| 1926 წ. | 444.628 მ.—322,6% | 214.615 მ.—188,7% |

სამი წლის განმავლობაში აბანოების შემოსავალი 222,6 პროც. გაიზარდა. გასავალი 88,7 პროც. ასე, რომ აბანოები სხვა კომუნალურ წარმოებებთან შედარებით ქალაქს საგრძნობ მოგებას აძლევს.

თბილისის მოსახლეობის მოთხოვნილება იმდენათ გაიზარდა, რომ არსებული აბანოები არ არის საკმარისი. მაგალითად, 1926 წლის განმავლობაში ერთ მცხოვრებზე მოდის აბანოთი სარგებლობა 4,5 ჯერ, რაც სანიტარულ-ჰიგიენურ მოსაზრებით მეტად მცირედ უნდა ჩაითვალოს. აღმასკომი უკვე ღებულობს ზომებს ახალი აბანოების ასაშენებლად.

### 4. სასაკლაო

თბილისის სასაკლაო თავის მოწყობილობით ერთი საუკეთესოთაგანია მთელ საბჭოთა კავშირში. სასაკლაოში შეიძლება დაიკლას, თუ დღეში 16 საათს იმუშავებს, 400—500 სული მსხვილ ფეხი საქონელი და 2000 სული წვრილფეხა საქონელი. სასაკლაოსთან მოწყობილია ყინულის დასამზადებელი ქარხანა, რომელიც დღე-ღამეში 600 ფ. ყინულს ამზადებს. სასაკლაოსთან არსებობს აგრეთვე საძეხვე და საუტილიზაციო ქარხნები.

სასაკლაოს მუშაობის დასახასიათებლად მოვიყვანთ დაკლულ საქონლის რიცხვსა და წონას უკანასკნელ წლებში.

| დაკლულ საქონლის | რიცხვი | წონა |
|---|---|---|
| 1923 წ. | 99.857 ს —100,0% | 348.327 ფ.—100,0% |
| 1924 წ. | 123.876 ს.—124,1% | 444.531 ფ.—127,6% |
| 1925 წ. | 151.080 ს.—151,3% | 531.941 ფ.—152,7% |
| 1926 წ. | 165.339 ს.—165,6% | 610.972 ფ.—172,4% |

უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში დაკლულ საქონლის რაოდენობა გაიზარდა 65,6 პროც., წონა 72,4 პროც., რაც მოსახლეობის მიერ ხორცის მოხმარების საგრძნობ გაზრდას გვიჩვენებს.

სასაკლაოსთან არსებულ ქარხნების მუშაობა შემდეგში გამოიხატება:

[illegible]ლის ქარხანამ დაამზადა ყინული:

| | |
|---|---|
| 1923 წელს | 38.636 ფ.—100,0% |
| 1924 წელს | 61.196 ფ.—158,4% |
| 1925 წელს | 58.724 ფ.—139,0% |
| 1926 წელს | 63.430 ფ.—164,2% |

საძეხვე ქარხანამ გამოიმუშავა ძეხვი:

| | | |
|---|---|---|
| 1923 წელს | 367 ფ.—100,0% | |
| 1924 წელს | 373 ფ.—101,6% | |
| 1925 წელს | 1088 ფ.—296,5% | |

საუტილიზაციო ქარხანაში გამომუშავდა:

| | სხვადასხვა ტყავი | ტეხნიკური ქონი |
|---|---|---|
| 1923 წ. | 281 ც.—100,0% | 246 ფ.—100,0% |
| 1924 წ. | 320 ც.—113,8% | 418 ფ.—169,5% |
| 1925 წ. | 593 ც.—185,3% | 986 ფ.—400,0% |
| 1926 წ. | 857 ც.—305,0% | 2.427 ფ.—986,6% |

როგორც ვხედავთ სასაკლაოსთან არსებულ ყველა ქარხნების პროდუქცია თვალსაჩინოთ გაიზარდა. ყინულის ქარხნის პროდუქცია გაიზარდა 1923 წელთან შედარებით 64, 2 პროც., საძეხვე ქარხნის—196,5 პროც., საუტილიზაციო ქარხანაში ტყავის დამზადება გაიზარდა 205,0 პროც., ტეხნიკური ქონის დამზადება—886,6 პროც.

შემოსავალ-გასავალიც დიდათ გაიზარდა უკანასკნელ წლების განმავლობაში:

| | შემოსავალი | გასავალი |
|---|---|---|
| 1923 წ. | 248.276 მ.—100,0% | 210.579 მ.—100,0% |
| 1924 წ. | 114.583 მ.—207,9% | 437.747 მ.—207,9% |
| 1925 წ. | 462.060 მ.—194,0% | 408.499 მ.—194,0% |

შემოსვალ-გასავალი უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში თითქმის ორჯერ გაიზარდა.

სასაკლაოსთან არსებობს მძლავრი ელექტრო-სადგური, რომელმაც გამოიმუშავა ენერგია 1926 წელს 132.371 კილო საათი.

### 5. კეთილმოწყობა

ქალაქის გამშვენიერებასა და კეთილმოწყობას დიდი ყურადღება ექცევა ალმასკომის მიერ. 1926 წლის განმავლობაში ქალაქის (განსაკუთრებით მუშებით დასახლებულ განაპირა უბნებში) ქუჩების მოწესრიგებასა და მოკირწყვლაზე, ტროტუარების გამართვასა და შეკეთებაზე ალმასკომმა დახარჯა 321.074 მანეთი.

ამოშრობილი იქნა ჭაობები მალიარიის ბუდე— საბურთალო-ვაკეში.

ხიდების შეკეთებაზე დაიხარჯა 9.713 მანეთი.

გასამაგრებელი კედლებისა და ბარიერების აგებაზე— 17.529 მანეთი.

შუა ბაზარში ქუჩის გასაფართოებლად ძველი სახლების დანგრევაზე და ახლების აგებაზე დაიხარჯა 147.435 მანეთი.

ქალაქის ძველი ბაღების აღდგენაზე და მოწესრიგებაზე და ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში ახალი ბაღების გაშენებაზე დაიხარჯა 34.573 მანეთი.

ჩიაღვრის წყლებთან საბრძოლველად და ქალაქის გაჯანსაღების მიზნით გაშენებული იქნა ტფილისის გარშემო მდებარე მაღლობებზე ტყე (დაახლოებით 70 დესეტ. მანძილზე), რაზედაც დაიხარჯა 28.620 მანეთი.

ქალაქის განაპირა უბნებში კანალიზაციის მოწყობაზე, ქუჩებში ახალი მაგისტრალებისა და სახლებში ახალი შტოების გაყვანაზე დაიხარჯა 43.485 მანეთი.

გარდა ზემოაღნიშნულ სამუშაოებისა გადაკეთდა და შეკეთდა მრავალი საბჭოთა და მუშათა სახლი, დარაბა, სკოლა, საბავშო სახლი, საავათმყოფო, სამკურნალო, აფთიაქი და სხვ.; რაზედაც დაიხარჯა 748.687 მანეთი.

### 6. საბინაო საკითხი

ყველაზე უფრო მწვავეთ ტფილისში საბინაო საკითხი სდგას ამჟამად ტფილისის საცხოვრებელი ფართობი 3.847.000 კვ. არშინს უდრის, აქედან ვარგისია საცხოვრებლად 3.659.000 კვ. არშინი. 1926 წლის დეკემბრის აღწერით ტფილისის მოსახლეობის რიცხვი 282.918-ს უდრის ერთ სულზე მოდის საცხოვრებელი ფართობი 12,9 კვად. არშინი, რაც დიდათ ჩამორჩება სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმას (სულზე 16 კვ. არშინი) საცხოვრებელ ფართობის დეფიციტი ტფილისში 877.045 კვ. არშინს უდრის, განსაკუთრებით დიდია დეფიციტი მუშათა უბნებში.

ალმასკომის მუშაობა ბინის კრიზისის შესანელებლად შემდეგში გამოიხატება: ერთი მხრივ ალმასკომი ცდილობს არსებულ საცხოვრებელ ფართობის ნგრევისაგან დაცვას, ხოლო მეორე მხრივ ხელს უწყობს ახალ საბინაო მშენებლობის განვითარებას.

არსებული საბინაო ფონდის დაცვის მიზნით ალმასკომმა 1926 წლის ნოემბრიდან რამდენიმედ გაადიდა საბინაო ქირის ტარიფი, ამით ის ცდილობდა ცოტათი მაინც დაეფარა ბინით სარგებლობის თვითღირებულება. მარტო საბინაო ტარიფის გადიდება საკმარისი არ იყო, საჭირო იყო ძველი სახლების შეკეთება-აღდგენა და ახლის აშენება.

ძველი სახლების შეკეთებაზე უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში დაიხარჯა 3.400.000 მანეთი. აქედან ალმასკომმა დახარჯა 1.000.000 მანეთი. საბინაო-საიჯარო ამხანაგობამ 400.000 მან.: კერძო სახლთმფლობელებმა 1.500.000 მან.; სამეურნეო ორგანოებმა და სხვა ორგანიზაციებმა—500.000 მანეთი.

ახალი სახლების აშენებაზე დაიხარჯა 1.929.403 მ.; აქედან ალმასკომმა დახარჯა 1.153.000 მ.; საბინაო კოოპერაციამ—426.403 მან.; სამრეწველო და სატრანსპორტო დაწესებულებებმა—100.000 მანეთი და კერძო პირებმა—250.000 მან. სულ აგებული და აღდგენილი იქნა 131 სახლი, 258 ბინა და 512 ოთახი.

ამჟამად ალმასკომი აშენებს ტრამვაის მუშებისათვის დიდ სახლს პლეხანოვისა და მუშტაიდის ქუჩის კუთხეში. სახლი შეიცავს 600 ოთახს. მისი აშენება 2 მილ. მანეთი ჯდება. დასრულდა ნაძალადევში 124 ოთახიანი სახლის აშენება. მიმდინარე წელს საბინაო მშენებლობისათვის ბიუჯეტით გადაიდო 400.000 მანეთი, საკრედიტო წესით ამავე საქმისათვის მიღებული იქნება 1 მილ. მანეთი.

მ. კვატაშიძე.

## ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა განყოფილება

## სწავლა-განათლების საკითხები *)

არც ერთი დარგი სახელმწიფო აპარატის არ არის ისეთი მგრძნობიარე, ძნელი გარდასაქმნელი და სათუთი ამა თუ იმ რეფორმის გასატარებლათ, როგორც სახალხო განათლების საქმე.

ჩვენ, შედარებით, ადვილათ შეგვიძლია დანახვა და შესწავლა სახელმწიფო აპარატის რომელიმე ნაკლის და სათანადო რეორგანიზაციის ჩატარებით მისი აცილება.

მაგრამ ასევე არ შეიძლება მიუდგეთ სახალხო განათლების საქმეს, სკოლის საკითხს. სკოლაში გასატარებელი ახალი რეფორმა, ახალი მეთოდის შემოღება უნდა ხდებოდეს მეტად მსუბუქ ფორმებში, მოსწავლეთა ფსიქოლოგიისა და შემეცნების თანდათანობითი დაჯერებით და დამუშავებით, დიდი კონტრასტების შეუქმნელად.

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის მანძილზე, საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო მოწინააღმდეგე კლასების და პოლიტიკური პარტიების არა თუ ორგანიზაციულად და ფიზიკურად განადგურება, არამედ იდეურად დამარცხება და განდევნა საზოგადოებრივი აზროვნებიდან. მან შესძლო ყველაფერი ეს,—საზოგადოებრივი აზრის დამორჩილება,—თავისი მიღწევებით სოციალ-ეკონომიურ ფრონტზე. მიუხედავათ მრავალი საგარეო და საშინაო დაბრკოლებებისა, ის ახერხებს სახალხო მეურნეობის საგრძნობ წინ წაწევას, განვითარებას და სოციალისტურად გარდაქმნას.

მაგრამ, პოლიტიკურად და ეკონომიურად გამარ-

*) ჩვენ გბეჭდავთ ამხანაგი ქეიშვილის წერილს სადისკუსიოთ და იმედს გამოვსთქვამთ, რომ ჩვენი ამხანაგები მიიღებენ მონაწილეობას ამ ფაღრესად საჭირ-ბოროტო საკითხის გაშუქებაში.

რ ე დ.

ჯავებული მუშათა კლასი, ჯერ კიდევ ვერ არის ასევე გამაგრებული კულტურულ ფრონტზე; პროლეტარული კულტურა მხოლოდ ეხლა იქმნება და კიდევ ვერ არის ის სავსებით ჩამოყალიბებული, დახვეწილი და განვითარებული. ამის უმთავრესი მიზეზი, რა თქმა უნდა, არის არა ჩვენი უყურადღებობა ამ საქმის მიმართ და არც მარტო კულტურული ჩამორჩენილობა, არამედ მონოპოლიურ პირობებში განვითარებული და ყველა ფორმებში მოცემული ძველი, ბურჟუაზიული კულტურის ტენდენციური სიძლიერე და ამ კულტურაზე აღზრდილი ძველი თაობის კულტურული მოთხოვნილების და გემოვნების შეცვლის სიძნელე.

სკოლა და განათლების საკითხები, მართალია, არ არის აბსოლუტურად დამოკიდებული კულტურის საკითხებიდან, მაგრამ ისინი ისე ახლო კავშირშია ერთმანეთთან, რომ არ შეიძლება ერთის მეორესაგან სრული იზოლიაცია, პირველი ბაზაა მეორეს ასაშენებლათ.

რადგანაც ამ საკითხზე ასე შორს წასვლა ძლიერ დაგვაცილებდა აღებულ თემას, დაუბრუნდეთ ისევ სკოლის საკითხს.

საერთოდ, სახალხო განათლების საქმეში და, კერძოდ, სკოლებში საკმაოდ რადიკალური რეფორმებია გატარებული. მარტო სწავლების ახალი მეთოდის შემოღება და გამართლება, რომელმაც გაანთავისუფლა სკოლა ყაზარმული კარჩაკეტილობისა და „დისციპლინისაგან“, აზროვნების ზუბრული განსაზღვრულობიდან და დაუახლოვა ის საზოგადოებრივ ცხოვრებას და ოჯახს, დიდი მიღწევა და გამარჯვებაა. ამას ამბობენ კულტურულად ჩვენზე წინ წასული ევროპიელი პედაგოგებიც; ეს სთქვეს საბჭოთა კავშირში და საქართველოში ჩვენი სკოლების გასაცნობათ ჩამოსულმა საფრანგეთის მასწავლებელთა დელეგაციამ. მათ სთქვეს, რომ ევროპის სკოლამ საბჭოთა კავშირის მაგალითზე უნდა მოაწყოს სახალხო განათლების საქმეო.

მიუხედავათ ამისა, უნდა ვაღვიაროთ, რომ ჩვენს სკოლას კიდევ ბევრი ნაკლი აქვს გასასწორებლი. უმთავრესი მისი ნაკლი ის არის, რომ საშუალო სასწავლებელი, ე. წ. ცხრაწლედები და ტეხნიკუმები ვერ ამართლებენ და არ ეთანხმებიან სახელმწიფოს მომავალ სამეურნეო გეგმას და მოთხოვნილებას; ის ვერ იძლევა რაიმე სპეციალობის უშუალოდ მცოდნე მუშაკებს, რომელთა სიმცირე საკმაოდ საგრძნობია, და ხშირად იძულებული ვხდებით, რომ გარედან მოვიწვიოთ ასეთები. ცხრაწლედ დამთავრებულ მოსწავლე აახლგაზრდობას არა აქვს საკმაო თეორეტიული ცოდნა და მომზადება საზოგადოებრივ საკითხებში და ლიტერატურაში, მათ არ აქვთ საფუძვლიანათ შესწავლილი პროგრამით გათვალისწინებული საგნები.

ამ მიზეზების გამო, სამწუხაროა, მაგრამ ბუნებრივია, რომ საშუალო სასწავლებელმა საზოგადოების თვალში დაკარგა საჭირო ავტორიტეტი და უფლებები; მას არ ენდობიან: არც ხელისუფლება და არც საზოგადოება და ყველგან „სასტიკ“ და თან უსარგებლო გამოცდის კარანტინში ატარებენ.

საშუალო სასწავლებლის ამ არანორმალური მდგომარეობით, მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, მომავალი თაობისათვის, იქმნება მეტად მძიმე პირობები, როგორც სწავლის გაგრძელების, ისე სამუშაოზე მოწყობის მხრივ და ხელსაყრელი ნიადაგი ყოველგვარი გაუგებრობის შესაქმნელად.

განათლების სახალხო კომისარიატის ცნობებით, ცხრაწლედებს და ტეხნიკუმებს ყოველწლიურად ამთავრებს, საშუალოდ, 4000—4200 მოწ. ამ რიცხვიდან, ს. უ—ში შესაძლებელი ხდება მიღება მხოლოდ 600—700 მოწ. დანარჩენი—3500 კ. რჩება ქუჩაზე, რჩება უსაქმოდ, რადგან მათ უჭიროთ უბრალო საკანცელარიო სამუშაოს შესრულებაც კი, თუმცა ასეთის მოთხოვნილებაც არ არის შრომის ბაზარზე და უმუშევრების მთელი ჯამის 50 პროცენტი სწორედ ამ „კვალიფიკაციის“ უმუშევრებისაგან არის წარმოდგენილი. მათ არ შეუძლიათ სწავლის კერძოთ გაგრძელებაც, რადგან სკოლიდან მოწყვეტის შემდეგ ეკარგებათ ამისათვის საჭირო მონდომება და ხალისი და, ესეც რომ არ იყოს, ეს მოითხოვს საკმაოდ დიდ ხარჯებს, რაც დიდი უმეტესობისათვის მიუწვდომელია.

ასეთ პირობებში მოქცეული მოსწავლე ახალგაზრდობა, ქუჩაზე უსაქმოდ ხეტიალის დროს, ებმება სხვადასხვა კომბინაციებში, ირყვნება მორალურად და პოლიტიკურად და სოციალურად ხდება მავნე და საზოგადოების შემაწუხებელ ელემენტად.

ამიტომ, ეს საკითხი არ არის მცირე მნიშვნელობის, მას უნდა მიექცეს მეტი ყურადღება. ამ არანორმალური მოვლენის ასაცილებლათ საჭიროა ყოველგვარი ზომების მიღება და პირველ რიგში საშუალო სასწავლებლის ტიპის, პასუხისმგებლობის და უფლებრივი მხარეს გადასინჯვა და შეცვლა:

1) საშუალო სასწავლებელი, თანდათანობით, უნდა დაუახლოვოთ და შეუთანხმოთ სახელმწიფოს მომავალ სამეურნეო გეგმას. საშუალო სასწავლებელი უნდა ამზადებდეს არა მარტო ს. უ—ში მისაღებ კადრს, არამედ საშუალო კვალიფიკაციის მქონე ახალგაზრდობასაც, რომელთაც შეეძლებათ სამეურნეო მუშაობაში მონაწილეობის მიღება.

2) მოსწავლეს ცოდნის შეფასებაში მთელი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს საშუალო სასწავლებელს, რომ აცილებული იქნას საჭიროება, ვიმეორებ, უმეტეს შემთხვევაში უსარგებლო გამოცდების დატოვების, რითაც სარგებლობს მხოლოდ კერძო პრაქტიკის მასწავლებლობა მოსწავლე ახალგაზრდობის უსაზღვრო ექსპლოატაციის სახით.

3) საშუალო სასწავლებელზე ასეთი პასუხისმგებლობის დაკისრების შემდეგ, თავის თავად ცხადია, უნდა დაუბრუნდეს მას განსაზღვრული უფლებები, როგორც ს. უ—ში, ისე სხვა სასწავლებლებშიც, მისაღებათ გამოცდების გარეშე.

ყოველივე ეს, ჩვენის აზრით, საგრძნობლად შეასუსტებს მოსწავლე ახალგაზრდობისათვის შექმნილ მძიმე და საზიანო მდგომარეობას და აგვაცილებს აქედან გამომდინარე ცუდ სოციალურ-პოლიტიკურ შედეგებს.

კ. ჭეიშვილი.

# უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები უნდა მოისპოს*)

წარსულ სამოსწავლო წლის დასაწყის, მიღების დრო თითქმის ორი თვის განმავლობაში „ალყა შემორტყმული“ იყო ჩვენი უნივერსიტეტი, რომელსაც ტალღასავით მოაწყდა პროვინციიდან ჩამოსული. უნივერსიტეტში შესვლის მსურველი ახალგაზრდობა. ყველა ცდილობდა „მეცნიერების ტაძარში“ შესვლას.

ამ მიზნის მისაღწევად, ბევრმა თავის ნათესავებთა შორის „გავლენიან კაცებს“ დაუწყო ძებნა, ერთმა ასე შემომჩივლა: „ამისთანა დიდიკაცი, ძველი, კომუნისტი; ჩემი მახლობელი ნათესავია და ჩემი შვილი უნივერსიტეტში მაინც ვერ მიაღებიეო“.

უნივერსიტეტი, რა თქმა უნდა, ყველას ვერ დაიტევდა; ყველას დასაკმაყოფილებლად საჭირო იყო სამჯერ მეტი საუნივერსიტეტო შენობა და რამოდენიმე ათეული პროცენტით „პროფესორთა ძალების გადიდება“. რა თქმა უნდა, ერთიც და მეორეც შეუძლებელი იყო. ამასთანავე უნივერსიტეტის გარეშე დარჩენილთა ერთი ნაწილი გულდაწყვეტილი დაბრუნდა უკანვე, ზოგი აქვე, თბილისში დარჩენ უსაქმოდ, ჩამოხეულ - ჩამოფლეთილი; ნახევრად მშიერ - მწყურვალი მთელი წლის განმავლობაში დაეხეტებოდენ ტფილისის ქუჩებში; სამსახურის უიმედო ძებნის შემდეგ სასოწარკვეთილნი ბრუნდებიან უკანვე სოფლად.

*) კამათის წესით.

რედ.

ვინ იცის: რამდენი მათგანი ასცდა კეთილგზას და დაადგა მეტად მოლიპულ სახიფათო გზას.

ეს მოვლენა მეტად ჩამაფიქრებელი და თანაც მეტისმეტად სამწუხაროა.

ამიტომ სრულიად ბუნებრივია, დაიწყო პრესაში ამ საკითხის შესახებ კამათი; აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

რას გვავალებს შარშანდელი მაგალითი?

უმთავრესად ორ რამეს: პირველი ის, რომ უნდა საბოლოოთ მოწესრიგდეს, ერთხელ და სამუდამოთ შემუშავდეს უნივერსიტეტში მისაღებათ ისეთი წესები, რომელიც ბოლოს მოუღებს შარშანდელ ვაკხანალიას. მეორე: გადასასინჯავი და განსახილველია საკითხი იმის შესახებ, თუ უმაღლესი ცოდნით აღჭურვილთა კადრი რა რიცხოვანი უნდა იყოს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიურ-კულტურულ მოთხოვნილებათა მიხედვით, ან, შემუშავებულ საპერსპექტივო გეგმის მიხედვით, რომელ დარგში უფრო მეტი გვესაჭიროება უმაღლესი ცოდნით შეიარაღებული მუშაკნი.

პირველ საკითხის მოსაგვარებლად, ესე იგი უნივერსიტეტში მისაღებათ შარშან მიღებულ იქნა გამოცდები, რომელზეც დაშვებულ იქნა რამოდენიმე ათასი კაცი, თითქმის ყველა, ვინც-კი შეიტანა განცხადება უ-ის კანცელარიაში. ამ გამოცდებმა გამოარკვია, რომ ჩვენი საშუალო სკოლა ვერ იძლევა იმ ცოდნას, რომელიც საჭიროა უნივერსიტეტში შესასვლელად, რომ მეტად ცუდათ არის დაყენებული ჩვენ ცხრაწლედებში, განსაკუთრებით რუსული ენისა და მათემატიკის შესწავლა და სხვა.

ჩვენ არ ვიცით. ეს რისი ბრალია: მასწავლებელთა კადრის მოუმზადებლობის, თუ სხვა რაიმე გარემოების. და, ეს გამოარკვიოს და შეისწავლოს მან, ვინც ამ საქმისთვის არის მოწოდებული, ან ვისაც ეს პირდაპირ ევალება. ჩვენ ვიტყვით მხოლოდ, რომ გამოცდებით უნ-ში მიღება ჩვენ არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად და არც შეიძლება იგი გამართლებული იქნას პედაგოგიურად. ძალიან ძნელია გამოცდების საშუალებით რამოდენიმე კითხვებზე პასუხით ნამდვილათ გამორკვევა იმისა, თუ რამდენათ აქვს ახალგაზრდას ეს თუ ის საგანი შეთვისებული; რას უდრის მისი საზოგადო განვითარების დონე. შეიძლება საუკეთესოთ, პირველ მოწაფეთ დაასრულა ამა თუ იმ ახალგაზრდამ ცხრაწლედი, მაგრამ ვერ გააკეთა ის ამოცანა, რომელიც მას უნ-ში მისცენ; ვერ გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი უნივერსიტეტში მისაღებ საგამოცდო კომისიას.

აქ დიდ როლს თამაშობს ფსიქოლოგიური მომენტები: ზოგს ცოდნა აქვს, მაგრამ გამოცდების დროს იბნევა, ღელავს, ფიქრობს, ერთს, უპასუხებს, მეორეს. ეს ხომ ბევრ ჩვენთაგანს პირადათაც გამოუცდია. სხვა ბევრი ფაქტებიც შეგვეძლო მოგვეყვანა გამოცდების უარყოფითი ანტიპედაგოგიურ თვისებათა დასამტკიცებლად. მაგრამ ჯერ ამით შეიძლება დავკმაყოფილდეთ.

მაშ როგორ უნდა მოგვარდეს ეს საქმე. რა წესით უნდა მოხდეს უნივერსიტეტში მიღება?

ჩვენის აზრით, უნივერსიტეტის გამგეობამ, თუ განათლების კომისარიატმა, წინასწარ უნდა გამოარკვიოს მისაღებთა საერთო რიცხვი დარგების მიხედვით, გაანაწილოს ის მაზრებზე პროპორციულად, ესე იგი უფრო მეტ მცხოვრებიან მაზრას, სადაც რამოდენიმე ცხრაწლედია დაუთმობს მეტს ადგილს, პატარა მაზრას მისცემს ნაკლებ რიცხვს და სხვ. შემდეგ ის რიცხვი სამაზრო განათლების განყოფილებამ უნდა გაანაწილოს მაზრაში არსებულ ცხრაწლედებზე, რა თქმა უნდა აქაც დაცულ უნდა იქნას პროპორციის პრინციპი. შემდეგ თვითეულ თემში, არსებული ცხრაწლედის პედაგოგიურ საბჭოს უნდა მიენდოს მიცემული ნორმის მიხედვით, შეიმუშავოს უნივერსიტეტში გასაგზავნ ცხრაწლედ დასრულებულთაგან სია, რომლის შედგენის დროს საბჭომ უნდა იხელმძღვანელოს, გარდა საერთო პირობების დაცვისა—სოციალური მდგომარეობა და სხვა, მოწაფის საერთო ცოდნა-განვითარებით, ნიჭით და განვლილ მასალის მტკიცედ შეთვისებით.

პედაგოგიური საბჭო კი ამ საქმეს შეუცდომლათ შეასრულებს, ვინაიდან ის კარგად იცნობს თვითეულ კურსდამთავრებულს, რაოდენიმე წლის განმავლობაში კარგად აქვს შესწავლილი თვითეული კურსდამთავრებულის ცოდნის, საერთო განვითარების და თუ გნებავთ ნიჭის სალაროც; პედაგოგიური საბჭო აღჭურავს უნივერსიტეტში გასაგზავნს ყველა ფორმალური საბუთებით და გააგზავნის უნ-ში.

ჩვენ ვფიქრობთ, მიღების ასეთი წესით მეტად იქნება დაცული სამართლიანობის პრინციპი, უნივერსიტეტიც განთავისუფლდება საგამოცდო დავიდარაბისა და უსიამოვნებისაგან და მცხოვრები კი იმ ასი-ათასი მანეთის ზარალისაგან, რომელიც მათ მოდისთ ყოველწლიურად უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდების დროს.

რაც შეეხება ჩვენ მიერ წამოყენებულ მეორე საკითხს, ამის შესახებ უფრო ვრცლად შემდეგ გამოვსთქვამთ ჩვენს აზრს; ეხლა ვიტყვით, მხოლოდ, რომ უსათუოდ უნდა შეჩერდეს დაარსება ცხრაწლედების, რომელიც, უნივერსიტეტის გარეშე, ვერ აძლევს ახალგაზრდობას დასრულებულ მთლიან სპეციალურ ცოდნას, რომელიც საჭიროა ჩვენი პრაქტიკული საქმიანობისათვის. თუ უმაღლესი ცოდნა არ მიიღეს, ისინი ზედმეტ ბარგად დაგვაწვება თავზე, ვინაიდან მარტო საქმის მწარმოებლის თუ რეგისტრატორის თანამდებობის დაჭერით „ისინი ვერ შესძლებენ ჩვენი ცხოვრების წინ წასწევას. ბოლო და ბოლოს კანცელარიის თანამშრომელთა რიცხვიც ხომ ოდესმე შეივსება?

ცხრაწლედების მაგიერ უნდა შევეცადოთ მაზრებში სპეციალურ ტეხნიკუმების ცხრილის გაფართოებას, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო და ტეხნიკურის ცოდნის ხალხში ფართოდ განვითარების მიზნით. ასეთი სასწავლებლები ჩვენ მოგვიმზადებენ ნამდვილ პრაქტიკოსებს, რომლებიც უპრენტეზიოთ გვერდში ამოუდგებიან ჩვენ გლეხობას, მასთან ერთად იმუშავებენ, ასწავლიან მას, ისწავლიან მისგან და ხელს შეუწყობენ სასოფლო-სამეურნეო და ტეხნიკური საქმიანობის გაუმჯობესებას და განვითარებას.

გრ. გძელიშვილი.

# სოც-დემ. და მუშა-ახალგაზრდობა

ოქტომბრის რევოლიუციამ დიდათ შეუწყო ხელი მშრომელი ახალგაზრდობის პოლიტიკურ-კულტურულ განვითარებას და სოციალიზმის იდეის გარშემო შეგნებულად დარაზმვას.

მუშა-ახალგაზრდობა, რომელიც სრულიად მოწყვეტილი იყო საზოგადოებრივ ცხოვრებას, დღეს საზოგადოების აქტიური წევრია და ფართო ასპარეზი აქვს მიცემული მასში მონაწილეობის მისაღებათ.

ბეჯითი ხელმძღვანელობის ქვეშ დაყენებული ახალგაზრდობაც ამართლებს ხელისუფლების ასეთ მზრუნველობას, ვითარდება პოლიტიკურად და კულტურულად და პროლეტარიატთან ერთად ქმნის ახალ ცხოვრებას.

საბჭოთა ხელისუფლების ასეთი დიდი ყურადღება მუშა-ახალგაზრდობის მიმართ—ბუნებრივია, რადგან ის ხელმძღვანელობს სოციალიზმის საქმეს, მომავალი თაობის ყოფა-ცხოვრების მოწყობას.

ყველას კარგად ახსოვს, თუ როგორ უყურადღებოდ იყო მიტოვებული მშრომელი ახალგაზრდობის საკითხი მენშევიზმის ბატონობის დროს. მათ ვერ გადაეწყვიტათ არა თუ ახალგაზრდობის სოციალური შინაარსის პრობლემები (ამას როგორ გადაწყვეტდენ, როდესაც მუშათა საკითხის „შესწავლაც“ ვერ მოახერხეს) არამედ კულტურული-განმანათლებელი მუშაობაც ვერ დაეწყოთ, და გასაკვირველია, რომ დღეს გამოსულან ვიღაც ხუნდაძეები ემიგრაციის ჭაობიდან და შესწევთ გამბედაობა და ცინიზმი ახალგაზრდობის დამცველის როლში გამოსვლის.

რამიშვილები, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენენ, რომ საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობა აღარ არის ისეთი პასიური და უვიცი, როგორიც მათ დასტოვეს, რომ ის ეხლა მათზე საღათ აზროვნებს და ერკვევა საზოგადოებრივ კითხვებში.

მათ, უთუოდ, უძნელდებათ დაჯერება იმის, რომ სოც.-დემ. პასიური გავლენის ქვეშ მყოფი ახალგაზრდა მცირე ჯგუფიც დღეს პროლეტარიატის რიგებშია.

აბა, ვინღა დაუჯერებს რამიშვილის უაზრო, ყალბ და ავანტიურისტულ ლოზუნგებს, აქ საბჭოთა ხელისუფლების დროს, როდესაც მათ სცილდება მშრომელი ახალგაზრდობა ევროპის კონტინენტზე, სადაც ბურჟუაზიული ტერორის ქვეშ არის დაყენებული ახალგაზრდობის რევოლიუციონური აზროვნებაც კი.

ახალგაზრდობისათვის უკვე გამოაშკარავებულია სოც.-დემ. ყალბი სოციალური სახე და ფრაზეოლოგია, გამოაშკარავებულია, რომ მათ არ შეუძლიათ და არც ევალებათ მშრომელი ახალგაზრდობის ხელმძღვანელობა და დაცვა.

ამის მაგალითები მრავალია, ევროპის ყველა სახელმწიფოებში.

ვინ არ იცის, რომ გინდენბურგის რეაქციონურმა მთავრობამ საკანონმდებლო ორგანოებითაც კი დაადასტურა რევოლიუციონური ახალგაზრდობის დევნა, რომ გერმანიაში ახალგაზრდობას არ აძლევენ საშუალებას კულტურული ორგანიზაციებში მუშაობისას, რამაც ლიბერალური ჯგუფებიც კი გააკვირვა. ხოლო სოც.-დემ. სიტყვაც არ დაუძრავს ახალგაზრდობის დასაცავად.

ყოველივე ამის შემდეგ, მხოლოდ რამიშვილ-ხუნდაძეების სიბეცეს შეუძლია წარმოიდგინოს, რომ საქართველოს მშრომელ ახალგაზრდობას შეცდომაში შეიყვანენ პარიზიდან მოძღვნილი ალერსით.

ჭეშმარიტად, რომ ავანტიურისტებს და დემაგოგებს შეუყრია თავი ქართველი ემიგრაციის კორპორაციაში, რომელთაც, არა გააჩნიათ რა პოლიტიკური ზრდილობის, აღარ იციან, თუ რა უშველის მათ „დაკარგული მდგომარეობის“ აღსადგენათ.

**ნ. ჯულელი.**

# ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა განცხადება

24 წ. ავანტიურის შემდეგ, რომელიც მოაწყო საქართველოს გასაბჭოებით შეურაცყოფილმა და პირადი კარიერით დაინტერესებულმა საქართველოდან გახიზნულმა ემიგრაციის ლიდერებმა, სამუდამოდ მოახდინა გადატეხა ისეთ ელემენტებშიაც კი, რომელიც ვერ ერკვეოდა პოლიტიკაში. მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ძველი სოციალ-დემოკრატები, რომლებსაც ქონდათ გავლილი პარტიული სკოლა, ანგარიშს გაუწევდენ საქართველოში შექმნილ ახალ პირობებს და შესაფერ დასკვნებს გამოუტანდენ იქიდან. ამიტომაც იყო, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაინგრა ს.-დ. კართაგენი და ყველა მისი შეგნებული წევრები გადავიდენ საბჭოთა ხელსუფლების პლატფორმაზე, სადაც ძალღვებ დაქიმული ეწევიან თავისი ქვეყნის აღმშენებლობას.

მაგრამ ქართველი ემიგრაცია კიდევ არ სცხრება, ის კიდევ ცდილობს თავს მოახვიოს ქართველ ხალხს მეორე ავგვისტოს ავანტიურა... ეს კი ისეთი აქტია, რომელსაც არ შეიძლება არ გამოეხმაუროს ყველა პატიოსანი მოქალაქე. მით უმეტეს ისინი, ვინც ყოველთვის იღებდენ მონაწილეობას თავის ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამიტომ ჩვენ, ამის ქვემო ხელისმომწერლები, ყველას გასაგონად ვაცხადებთ; რომ ვდგებით საბჭოთა პლატფორმაზე, ვიზიარებთ ახალგაზრდების ხაზს და ფიცსა ვდებთ, რომ იარაღით ხელში შევებრძოლებით საბჭოთა საქართველოს მტერს.

1) ციციშვილი, 2) საბა მაღრაძე, 3) თედო გურგენიძე, 4) ს. ცირეკიძე, 5) ლ. კარტოზია, 6) ი. ბობოხიძე, 7) დ. დარასელია, 8) მ. ცინცაძე, 9) ივ. კალნდაძე, 10) სილ. სიხარულიძე, 11) კ. რამიშვილი, 12) ლ. ჩხიკვიშვილი, 13) გ. ბერძენიშვილი, 14) გ. შარაშიძე, 15) ჩ. კალანდაძე, 16) ბ. ჩხიკვიშვილი, 17) კ. ბერძენიშვილი, 18) ვ. რამიშვილი, 19) ვ. სიხარულიძე, 20) ზ. ჩხკვიშვილი, 21) ბ. გიორგაძე, 22) ს. ჟღენტი, 23) ნ. ბერძენიშვილი, 24) ი. მეგრელიშვილი, 25) ც. მდივანი, 26) თ. ჩანტლაძე, 27) დ. როდონაია, 28) ი. არაველიძე, 29) ამროსი სვანიძე, 30) ალექსანდრე ქურაძე, 31) სპირდონ შენგელია, 32) ს. ძიმისტარიშვილი, 33) დ. უჩანეიშვილი, 34) ალექს. ნანეიშვილი, 35. ტიტე თევზაძე, 36) შ. მეგრელიშვილი, 37) ილია მელქაძე, 38) ს. კეკელია, 39) მ. კეკელია და 40) ნ. კეკელია.

# ბრძოლა ჭლექთან

## ჩვენში და დასავლეთ ევროპაში

მრავალ მეცნიერთა და ექიმთა დაკვირვებით დამტკიცებულია, რომ ჭლექი უმთავრესად მშრომელთა სნეულებაა და მისგან დაავადება და სიკვდილიანობა უფრო მეტია ქარხნის მუშა - მოსამსახურეთა შორის. შრომის მძიმე პირობები, დაბალი ხელფასი და მატერიალური გაჭირვება მშრომელთა ოჯახებისა, — მთავარი მიზეზთაგანია. მათ შორის ჭლექის გავრცელებისა და დიდი სიკვდილიანობისა. მივმართოთ სტატისტიკურ ცნობებს. თვითეულ 10.000 მცხოვრებზე, შემოსავლის მიხედვით, კვდება ჭლექისაგან ყოველ წელს, თუ მუშის ხელფასი, ანუ მისი ოჯახის საცხოვრებელი სახსარი უდრის:

325 — 416 მანეთამდე 60 კაცი., 416 — 555 მანეთამდე 39 კაცი., 555—926 მანეთამდე 26 კაცი., 1200—2000 მანეთამდე 10 კაცი., შეძლებულ და მდიდართა შორის 2 კაცი.

ამ ცნობებიდან აშკარად სჩანს, რომ რაც უფრო დაბალი ხელფასი და მცირეა საცხოვრებელი სახსარი მუშის ოჯახისა, მით უფრო მეტია სიკვდილიანობა ჭლექისაგან.

საზოგადოდ დამტკიცებულია, რომ მუშათა შორის სიკვდილიანობა ჭლექისაგან უდრის 42,6 პროც., მოსამსახურეთა შორის 26,2 პროც., და მეპატრონეთა შორის კი 1,5 პროც. რა თქმა უნდა, ჭლექი კლასობრივი ანუ ნამდვილი პროლეტარული სნეულებაა და შრომის და ცხოვრების პირობებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ, ჭლექთან ბრძოლის საკითხში. ჭლექით დაავადება და სიკვდილიანობა მშრომელთა შორის დამოკიდებულია შრომის ხასიათზე და მის პირობებზე; რაც უფრო მძიმე და მავნებელია შრომა და რაც უფრო ცუდ პირობებში მიმდინარეობს იგი, მით უფრო ადრე სუსტდება მუშის სხეული და კარგავს ძალ-ღონეს. ამ მხრივ მეტად მავნებელად ითვლება ე. წ. **მტვრიანი პროფესიები,** რომელთა შესრულება დაკავშირებულია სამრეწველო მტვერთან. ზოგიერთ მრეწველობაზე, ქარხნებში სხვადასხვა ნივთიერების დამუშავების დროს, ჩნდება მტვერი, რომელიც აღიზიანებს ადმიანის სასუნთქ ორგანოებს, აზიანებს ფილტვებს, სწამლავს მუშის სხეულს დ ნიადგს უმზადებს ჭლექს. აღნიშნულ შემთხვევაში მტვერი მოქმედობს მექანიურად და თავისი მაგარი, მწვეტიანი ნაპირებით ჰკაწრავს და არღვევს ადამიანის ორგანოების ლორწიან გარსს, აზიანებს ფილტვების ქსოვილს და ამგვარად კარებს უღებს ჭლექს. მეორეს მხრით, ასეთი მტვერი ადამიანის სხეულში დაშლა გახსნის, შემდეგ იწვევს მის მოშხამვას და აზიანებს მის სისხლს. ამ მხრით ყველაზე ცუდ პირობებში არიან. ქვის გალეტი, მაღაროს მუშები,

სტამბის მუშები, ლითონის მჩარხავები და მქლიბავები. ამ კატეგორიის მუშები ყველაზე მეტად ავადმყოფდებიან და იღუპებიან ჭლექისაგან. თავის თავად ცხადია, რომ მდიდარ ქვეყნებში, სადაც დაგროვილი სიმდიდრე და განვითარებული ტეხნიკა შეძლებას აძლევს კაპიტალისტებს საუკეთესოდ მოაწყონ თავისი ქარხნები, მუშებიც ამ მხრივ უკეთეს პირობებში იმყოფებიან. ეს პირობები ამავე დროს ხელსაყრელია თვით კაპიტალისტებისთვისაც, რადგან მეტ სარგებლობას აძლევს მათ, როგორც შრომის მეტ და ხანგრძლივ ექსპლოატაციისათვის, ისე მისი ნაყოფის მომატების და გაუმჯობესებისთვის...

მიუხედავად ასეთი ტეხნიკური უპირატესობისა, კაპიტალისტურ ქვეყნებში ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე, მაინც არ არის ის მიღწევები, როგორსაც ჩვენ ვხედავთ საბჭოთა ქვეყნებში. მიზეზი ამისი არის ის, რომ კაპიტალისტურ მეურნეობას მუშა და მოსამსახურე აინტერესებს მხოლოდ როგორც მომქმედი ძალა, იმდენად, რამდენადაც მათ შესწევთ ძალ-ღონე მუშაობისათვის. ჭლექით დაავადებული მუშა კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოადგენს ზედმეტ ბარგს და მასზე ზრუნვა არის „მხოლოდ ქველმოქმედება“ და არა სახელმწიფო მოვალეობა... **შრომის კოდექსი** კი არსებობს მხოლოდ საბჭოთა ქვეყნებში.

მართლაც და ძლიერი და მეტად დიდი მნიშვნელობის ფაქტორი ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა კავშირში არის ის შრომის დაცვის კოდექსი, რომელიც იცავს სხვადასხვა დარგის შრომისათვის ნორმალურ პირობებს და შრომის ინსპექციის სახით ებრძვის ყოველგვარ პროფესიონალურ მავნებლობას. ჯანსახკომისარიატის და შრომის დაცვის კომისარიატის მიერ უკვე გატარებულია ცხოვრებაში მთელი რიგი ზომების, რომელნიც სრულიდ სპობენ ან საგრძნობლად ასუსტებენ იმ მავნებელ მომენტებს წარმოებებზე და ქარხნებზე, რომელნიც ხელს უწყობენ ჭლექის გავრცელებას მშრომელთა შორის. მაგალითად, სამრეწველო მტვერი ე. წ. მტვრიანი პროფესიებისა (მქლიბავების, მლესავების, მჩარხავების და მფშენეტავების), რომელიც იძლევა 480 სიკვდილიანობას 1.000 შემთხვევაზე (ზომერფელდის გამოკვლევა 38 დამზღვევ სალაროს მასალების თანახმად) აღნიშნულ ზომებით თითქმის მოსპობილია. აღნიშნულ ქარხნებში სათანადო სახელოსნოებში, ფაიფურის, სარკეების, შუშის, ქვის, თითბრის და სხვა მქლიბავ ანუ მლესავ განყოფილებებში მოსპობილია მშრალი ქლიბვა ან ლესვა და შემოღებულია სველი მეთოდი, სპეციალურ ვენტილაციით, რომელიც კრეფავს ან იზიდავს ამ მინერალურ ან ლითონიურ მტვერს და ამცირებს პროფესიის მავნებლობას. მთელი რიგი ზომებით, რომლითაც ადვილდება მუშაობა, მექანიზაცია, სხვადასხვა სისტემის ექსჰაუსტერები, ამკრეფ და მიმზიდველ მაგიდებით, სახურავებით და სავენტელაციო და გასათბობ აპარატებით, წამოწყებებზე მოსპობილია ის მავნე პირობები, რომელიც აზიანებდნენ და ასუსტებდნენ მუშების ორგანიზმს და ნიადაგს უმზადებდნენ ჭლექს.

სპეციალური სამრეწველო - სასანიტარო ინსპექცია ზრუნავს მისთვის, რომ ქარხნებში და სახელოსნოებში იყოს მუდამ საკმარისი და სუფთა ჰაერი, წესიერი განათება, გაწყობილი ვენტელაცია, ნორმალური სითბო, საჭირო სისუფთავე. თვით შრომის საერთო პირობ. თანახმად კოდექსისა. მიმართულია მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისაკენ: ნორმალური სამუშაო დღე საჭირო შესვენებებით, საუზმის და სადილის მისაღებად დროს გამოყოფით, აკრძალვა ზედმეტი მუშაობის და განსაზღვრა ღამის მუშაობის, პერიოდული შვებულებები დასასვენებელ სახლებში ყოფნით — ყველა ეს იცავს ორგანიზმს. დაღლილობისაგან და იმ ზედმეტ ენერგიის ხარჯვისაგან, რომელიც იწვევს ორგანიზმის თვითდამცველ ძალების შესუსტებას და კარს უღებს ჭლექს.

განსაკუთრებულ მავნებლობის წარმოებებზე არსებობს სპეციალური ზედამხედველობა: აქ მიღებულია შემოკლებული სამუშაო დღე, დამატებითი შვებულებები, დამატებითი კვება რძითა და ქონით და სპეციალური სანიტარული და ტეხნიკური საშუალებები და ტანთსაცმელი. დიდი მუშაობა სწარმოებს ქალთა და ბავშვთა შრომის დაცვის დარგში: აქ სრულიად აკრძალულია მცირეწლვოანთა და მშობიარეთა მუშაობა, განსაზღვრულია მცირეწლოვანთა სამუშაო სხვადასხვა პროფესიებზე, შემცირებულია დღე და სრულიად აკრძალულია ღამის მუშაობა. რა თქმა უნდა, რომ ამ ზომებსაც აქვთ დიდი მნიშვნელობა ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვინაიდან მცირეწლოვანთა და მშობიარეთა სუსტი ორგანიზმი მუდამ წარმოადგენს ჭლექისათვის ადვილად მისაწდომ ნიადაგს.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე პროფესიის შერჩევაში და მუშათა სამუშაოზე განაწილებაში საექიმო კანტროლის მონაწილეობას. სახალხო კომისართა საბჭოს დდგენილებით სავალდებულოა საექიმო შემოწმება ყველა სამუშაოზე მიღებისათვის და ეს შემოწმება სწორედ ის ფილტრია, რომელიც ერთის მხრით აცილებს ქარხანას ჭლექით დაზიანებულ მუშებს, მეორეს მხრით, გამოყოფს და აღრიცხავს მცხოვრებთა იმ ჯგუფს, რომელნიც წარმოადგენენ ჯანმრთელობის მხრივ სპეციალურ დაწესებულებათა ზრუნვის და მკურნალობის საგანს. ამას გარდა, ყველა მეტად ხახიფათო და მავნე პროფესიებისათვის წარმოებებში არსებობს სპეციალური კომისიები, (ჯანსახკომის და შრომის დაცვის წარმომადგენლები), რომელნიც რეგულიარულად სინჯავენ მუშა - მოსამსახურეებს და ამგვარად ნაადრევად და თავის დროზე გამოყოფენ ყველა ჯანმრთელობის მხრივ საეჭვო შემთხვევებს: დიდი ყურადღება აქვს მიქცეული აგრეთვე მესამე მნიშვნელოვან საკითხს, ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლას, რაც მდგომარეობს სახალხო კვებაში: თითქმის ყველა ქარხანას და დიდ დაწესებულებას აქვს თავისი სასადილო, მშვენივრად მოწყობილი სამზარეულოთი, არის მექანიურიც ეს სასადილოები განსაკუთრებულ ყურადღების ქვეშ არის სანიტარულ ორგანოების მხრივ და მუშათა კვება ამ მძიმე ეკონომიურ პირობებში საკმარის სიმაღლეზე სდგას.

ჩვენ პირადად დავათვალიერეთ 20—25 ასეთი სასადილო და უნდა აღვნიშნოთ, რომ სადილები, რომლითაც მუშა ხალხი იკვებება, საკმარისად ნაყოფიერი და გემრიელი. ამას გარდა, ფასი ერთი სადილის: ორი თავით საკმარისი რაოდენობის, პურის, განისაზღვრება 35—45 კ. რაც ძვირად არ უნდა ჩაითვალოს. მუშათა კოოპერატივების ფართოდ და რაციონალურად დაყენებული მოქმედება სურსათ - სანოვაგის ხარისხის გაუმჯობესების, გაიაფების და რაიონებში განაწილების დარგში — რა თქმა უნდა, მეტად ხელს უწყობს მცხოვრებთა კვების საკითხის მოგვარებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ყველა ზემო ჩამოთვლილი პროფილაქტიური ზომები გამომდინარეობს იმ სოციალურ კანონმდებლობიდან, რომლის ძალით პროლეტარული სახელმწიფო იცავს მშრომელთა ჯანმრთელობას ცხოვრების მავნებელ პირობებისაგან და ამით ებრძვის ჭლექსაც, როგორც სოციალურ სნეულებას. მაგრამ, მარტო სახელმწიფო კანონმდებლობა და სახელმწიფო ორგანოების მუშაობა არ კმარა ჭლექის წინააღმდეგ ნაყოფიერ ბრძოლისათვის. აქ აუცილებლად საჭიროა მონაწილეობა იმ ორგანიზაციებისაც, რომელნიც აერთიანებენ მშრომელთა მასებს და იცავენ მათ პროფესიონალურ ინტერესებს.

ასეთი ორგანიზაციები არიან პროფკავშირები, რომელნიც მჭიდროდ დაკავშირებულნი არიან ჯანმრთელობის და შრომის დაცვის კომისარიატებთან და მათ ინსპექციების დახმარებით აწარმოებენ კანტროლს. პროფკავშირები იღებენ დიდ მონაწილეობას ჭლექის საწინააღმდეგო ბრძოლაში და ყოველგვარ დახმარებას უწევენ ამ დაწესებულებებს, რომელთაც დავალებული აქვთ ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლა.

მაშასადამე, საბჭოთა კავშირში, უკვე არსებობს ერთ-

გვარი სახელმწიფოებრივი გეგმა ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლისა. არსებობს სოციალური კანონმდებლობა მთელი რიგი ზომებით, რომელიც გატარებული უნდა იყოს ცხოვრების სხვადასხვა დარგში ამ სენის წინააღმდეგ; არსებობს მთელი რიგი ორგანოების: შრომის, ჯანმრთელობის, სოციალურ დახმარების, დამზღვევ სალაროს და სხვა, რომელნიც ვალდებულნი არიან ამ ზომების განხორციელებაში და საჭიროა მხოლოდ სპეციალური ორგანოები, რომელნიც შემოიკრეფენ თავის გარშემო ადგილობრივ ძალებს ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, შექმნიან ერთს მთლიანს ფრონტს საექიმო და საზოგადოებრივი ძალებისას და გადაიქცევიან ნამდვილ ციხე-სიმაგრედ ამ საშინელი სენის წინააღმდეგ.

**სწორედ ასეთი ციხე - სიმაგრეა ტუბერკულიოზური დისპანსერი, რომელიც არსებითად წარმოადგენს კოლექტივს მჭიდროდ დაკავშირებულ საექიმო პერსონალის და მუშათა პროფესიონალურ ორგანიზაციებისა.** რას წარმოადგენს დისპანსერი თავის ამოცანების მხრივ და რა დანიშნულება აქვს მას საბჭოთა რუსეთის სინამდვილეში? რა არის დისპანსერი საზოგადოდ და რით განსხვავდება იგი დანარჩენ სამკურნალო დაწესებულებებისაგან? ამაზე შემდეგ.

ექ. რუსიშვილი—ყორჩიბაში.

# სოფლად

## (შთაბეჭდილებანი)

სოფელი დუღილს განიცდის დღეს.

ახლი ცხოვრების განსაკუთრებული დაღი სოფელს დასავლეთ საქართველოში ადევს, რა თქმა უნდა, გლეხი ძლიერ დაინტერესებულია აღმშენებლობითი მუშაობით, რომელიც დღეს სწარმოებს.

სულ ხუთიოდე დღე ვიყავი სოფლად, როგორც სტუმარი, მაგრამ როგორც თვითონ გლეხმა, რომელსაც აინტერესებს გლეხის ყოფა-ცხოვრება, მისი წარსული და ის გაჭირვება, რომელიც მან განიცადა საქართველოს გასაბჭოებამდე, ამ გასაბჭოების მეშვიდე წლის თავზე თვალცხადლივ დავრწმუნდი იმაში, რომ სოფელმა ერთხელ იცვალა ფერი. მან უკვე გაუგო გემო თავის ახალ ცხოვრებას, დღეს ის მყარ ნიადაგზე დგას პოლიტიკურადაც; ჟორდანია-რამიშვილის რეცეპტი მათ პირს ვერ აქნევინებს პარიზში მოკალათებულ ავანტიურისტებისაკენ. თუ აგვისტოს ავანტიურამდე ზოგიერთი გლეხი კიდევ გამოელოდა რამეს ჟორდანიას „მთავრობისგან“, დღეს სოფლად ერთ ისეთ შეგნებულ გლეხსაც ვერ შეხვდებით, რომელიც წყევლა-კრულვით არ იგონებდეს მას და მის „მუშაობას“. გლეხობა დღეს წყევლა-კრულვით იხსენებს იმ არამკითხე „გულშემატკივრებს“, რომლებმაც აგვისტოს საშინელი გაკვეთილი არ აკმარეს ხალხს და კიდევ ახალი უარესი ავანტიურისაკენ ეპატიჟებიან მას.

გლეხობა დღეს უაღრესად დაინტერესებულია მშვიდობიანი და მყუდრო შრომით; ის ცდილობს შესცვალოს თავისი ცხოვრება და სოციალისტურ ნიადაგზე მოაწყოს იგი.

აბა ვინ იფიქრებდა ისეთ გიგანტიურ მიღწევას, როგორიც არის საჯავახოსთან უკვე აშენებული უზარმაზარი ხიდი რიონზე, რომელსაც უაღრესი მნიშვნელობა აქვს რიონის მარცხენა მხარეზე მცხოვრები მრავალი სოფლების გლეხობისათვის, რადგანაც სამტრედიის ბაზარი მათთვის აუცილებელ სასიცოცხლო წყაროს შეადგენს? სანამ ამ ხიდს გააკეთებდენ, საჯავახოს მხარეზე მცხოვრებლები იძულებული იყო ურმით 8 ვერსი გზა შემოევლო და სამტრედიაში ბორანით გასულიყო, რომ ათიოდე ფუთი სოფლის ნაწარმოები ბაზარზე გასაყიდათ გაეტანა.

დღეს, საბჭოთა ხელისუფლების წყალობით, გლეხი მოკლე მანძილით მოგზაურობს სამტრედიაში. ამას კი გლეხის ეკონომიურ აღორძინებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. და გლეხიც აფასებს თავის საბჭოთა ხელისუფლებას.—ბოლშევიკებს ვეჭაფერი ვერ დააკავებს. როგორც ეტყობა, მაგენს ყველაფერი შეძლებიათ. ტყუილად ემდურებოდითო...

ავიღოთ მეორე მაგალითი.

სად. საჯავახოს ახლოს მდებარეობს ეგრედწოდებული „ნარიონები“, რომელშიაც ამ ორმოცი წლის წინად რიონის ადიდების გამო წყალი დაგუბებულა და 1000 დესეტინაზე მეტი საუკეთესო ადგილები დაუფარავს რიონიდან გადმონახეთქი ტოტით და აყროლებულ ჭაობს წარმოადგენს დღეს, რის გამოც საჯავახოს რაიონში და ახლო-მახლო სოფლებში საშინელი ციებ-ცხელებაა გავრცელებული, რომელმაც მუსრი გაავლო ხალხს და ზოგიერთი სოფლების მცხოვრებლები თითქმის სრულიად გაწყდენ.

როცა ამ სამი კვირის წინათ გაზეთ „კომუნისტში“ ცნობა იყო მოთავსებული, რომ საქართველოს წყალთა მეურნეობის მმართველობამ გადასწყვიტა „ნარიონების“ ამოშრობა და 1000 დესეტინა საუკეთესო სახნავ-სათესი მიწა განთავისუფლდება ჭაობების ამოშრობითო, ამ ცნობამ გლეხობაში დაუსრულებელი აღფრთოვანება და სიხარული გამოიწვია, და ყველა მათგანი დიდი ალტაცებით ელის იმ დღეს, როცა საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველო ამ მუშაობას შეუდგება. უმთავრესად გლეხობას უფრო აინტერესებს ჯანმრთელობა ამ რაიონში,—„ნარიონების“ ამოშრობით კი სამუდამოთ მოისპობა ციებ-ცხელების საშინელი სენი. ამას გრდა 1000 დესეტინა საუკეთესოდ განოყიერებული სახნავ-სათესი მიწა მიემატება მშრომელი გლეხობის საერთო ფონდს, რაც მათ ქრონიკულ შიმშილს საგრძნობლად შეამცირებს.

ვისი ინიციატივით ხდება და უნდა მოხდეს ყოველივე ეს?

რასაკვირველია, საბჭოთა საქართველომ იდვა თავის თავზე მშრომელთა ინტერესების დაცვა და მეთაურობა.

მესამე მაგალითი:

საჯავახოს რაიონშივე, რიონის მარცხენა ნაპირზე გადაჭიმულია ე. წ. ჭალის სახნავ-სათესი მიწები, რომლებიც წინათ ათეული და ოცეული ქცევით თუ დესეტინობით ან კუდაბზიკა აზნაურების, ანდა ადგილობრივი ბობოლა გლეხობის სრულ საკუთრებას წარმოადგენდა, მშრომელი გლეხობა კი მხოლოდ სიმწრის ოფლით ამუშავებდა ამ მიწებს, ნაშრომს კი სხვები ისაკუთრებდნენ. ეს მიწებიც დღეს გლეხების ხელშია და თვითონვე სარგებლობენ მისი მოსავლით.

რასაკვირველია, გლეხობას აინტერესებს ყოფნა არყოფნის საკითხის ასე მოგვარება. ის უაღრესად დაინტერესებულია როგორც ზაჰესის ამუშავებით, ისე რიონჰესის მუშაობის დაწყებით, რადგან მან იცის, რომ ასეთი უდიდესი ჰიდრო ელექტრო-სადგურები მისი მეურნეობის განვითარებს ხელს შეუწყობს და ეკონომიურად გაამაგრებს მას.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ რიონჰესის ასაგებათ საჭირო იქნება 4000-5000-მდე მუშა ხელი, რომ სოფელში დარჩენილი გლეხობა სამუშაოს გაიჩენს, უნდა დავიჯეროთ, რომ ასეთი გლეხი ჟორდანიას ზღაპრებს ყურს არ დაუგდებს.

მშრომელი გლეხობა ასე მსჯელობს:—ბოლშევიკებმა მტკვარს საგუბარი გაუკეთეს, დაგუბებული წყლის საშუალებით ჩვენი დედა ქალაქი ელექტრონით გაანათეს, ეხლა რიონსაც სათავეში ჯებირები გაუკეთეს და იმასაც მალე დაადგამენ რკინს უღელს. მაშ რაღას ვერჩით? მეტი რაღა გვეთქმის?

ეკონომიური მიღწევა იგივე პოლიტიკური მიღწევაა.

გლეხობამ ეს პირადი გამოცდილებით იცის და როცა მათ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაურ პო-

ლიტიკურ მდგომარეობაზე ლაპარაკს ჩამოუგდებთ, ის ყურადღებით ისმენს და თვითონაც გაძლევს გითხვებს იმ პროვოკაციაზე, რომელსაც რეაქციონური ინგლისის მთავრობა ხელმძღვანელობს მსოფლიო ბურჟუაზიული სახელმწიფოების მასშტაბით.

სოფელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მიმდინარე მომენტს. მას სძაგს ომი, მაგრამ მზათ არის პირველ დაძახებისთანავე მომხდურ მტერს საკადრისი პასუხი გასცეს, ვინც უნდა იყოს ის, რადგან დარწმუნებულია, რომ ვერავითარი სხვა მთავრობა მას ვერ მისცემს იმას, რის მიცემაც შესძლო საბჭოთა ხელისუფლებამ.

სიარული ღამით მომიხდა, სანამ სოფელში მივიდოდი. გზაზე წამომეწია სად. საჯავახოდან შინ მიმავალი საჭამიასერელი გლეხი, ზაქარეიშვილი. შემეკითხა: რაა ახალი ამბავი ქვეყნათო?

რამდენათაც შემეძლო, გავუზიარე ყოველივე ის, რაც მოხდა პოლიტიკურ სფეროში უკანასკნელ ხანებში. რასაკვირველია, ჩვენი ბაასის უმთავრეს საგანს ინგლისის საბჭოებისადმი დამოკიდებულება შეადგენდა. ათიოდე ვერსი უნდა გაგვევლო ერთად და თითქმის ამ ხნის განმავლობაში მარტო პოლიტიკურ საკითხებზე ვილაპარაკეთ გზაში.

როცა საკითხი ამოიწურა, გლეხი მტკიცე რწმენით და გულწრფელობით მიპასუხებს:

— ერთად-ერთი მთავრობა, რომელსაც შესძლებია ხალხის დ ქვეყნის პატრონობა, არის ბოლშევიკური ხელისუფლება. ჩვენთვის ომი სრულიადაც არ არის საჭირო, რადგან ეს ომი და სისხლის ღვრა მდიდრების მოგონილი საქმეა. მე იმპერიალისტურ ომში გერმანიის ფრონტზე ვიყავი. ჩვენ გვინდა დღეს მშვიდობიანი და დაუღალავი შრომა, რომ დანგრეული ჩვენი სოფლის მეურნეობა ფეხზე დავაყენოთ. გვეყო, რაც ვიომეთ. ღმერთმა უშველოს ბოლშევიკებს; ეხლა კარგა ხანია, რაც დამშვიდებული ვეწევით შრომას და ყველაფერში, შეძლებისდაგვარად, ადგილობრივი ხელისუფლება გვეხმარება.

ჩვენს სოფელში ყველა ამ აზრისაა და მოხარულნი ვართ, რომ არავითარი შფოთი და ჩხუბი აღარ არის. ვინ იქნება გადარეული მდიდრების გულისათვის ცოლშვილი უპატრონოთ მიატოვოს? მაგრამ ჩვენ ისიც კარგათ ვიცით, რომ ბოლშევიკებს ბევრი მტრები ჰყავს გარეთ და შიგნითაც. თუ არ მოგვისვენებენ, ყველა მზათა ვართ არაფერი დავზოგოთ და მტრის ღირსეული პასუხი გავცეთო.

როცა მივუთითე და ვუთხარი, რომ პარიზში მოკალათებული აქედან გაქცეული ქართველი მენშევიკები ინგლისს ბანს აძლევენ და ამ მიზნით განსაკუთრებული დავალებებით რამიშვილი-ჟორდანია საქართველოს მშრომელ გლეხობას თავის ემისრებს უგზავნის ხალხის ასაჯანყებლად საბჭოთა საქართველოში მეთქი,—ზაქარეიშვილმა გაკვირვება გამოსთქვა და ხელები გაასავსავა:

— არა, ამხანაგო, ჩვენ 24 წელში გამოვცადეთ მათი ვაჟკაცობა, როცა აგვისტოში ხალხი მოტყუილებით ააჯანყეს. ეყოფათ ჩვენი სისხლით ვაჭრობა... ეხლა ვერავინ ვერ მოგვატყუილებს. თუ ვაჟკაცები იყვენ, იარაღიანი ჯარი და გვარდია მათ ხელში იყო, მთავრობაშიც თვითონ იყვენ, მაშინ ვერაფერი გააწყვეს ბოლშევიკებთან და ეხლა მათთვის თავს არავინ შეიწუხებს, ხალხს მათი წარსული მოღვაწეობა კარგათ ახსოვს და არც დაივიწყებს არასოდეს. საბალნო კბილები კარგა ხანია, რაც მოვიძვრეთ. ჩვენ კარგათ ვარჩევთ ავსაც და კარგსაც. მართალია, სწავლა არ გვიწყობს ხელს ქალაქის მუშებსავით, მარა არც ისე ბნელი ხალხი ვართ სოფლათ, რომ ყველამ წაგვაბალახოს და კისერზე წამოგვაჯდესო.

ასე მსჯელობენ ქართველი ზაქარეიშვილები, ქართველი გლეხები. აქედან აშკარაა, თუ რა გუნებაზე უნდა დარჩეს ამის შემდეგ სურებელი „ვესოიეს ბიჭი", ნოე რამიშვილი თავისი ძმა-ბიჭებით პარიზში.

ამ საქართველოს სტოლიპინის განკარგულებით და ლოცვა-კურთხევით აგვისტოს ავანტიურის დროს არა ერთი და ორი გლეხი გამოესალმა წუთისოფელს.

მათი ცოლშვილი და უპატრონოთ გაპარტახებული სახლკარი დიდ ხანს არ დაივიწყებს ნოე რამიშვილის ბოროტ სახელს.

ხალხში თითო-ოროლა მახინჯი არ გამოილევა. მაგრამ საერთოდ უნდა ითქვას, რომ მშრომელი გლეხობის 99 პროცენტი საბჭოთა საქართველოში ერთგულ დამცველია თავის საბჭოთა რესპუბლიკის, მისი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის.

**უშანგი ჯაში.**

# წერილები პროვინციიდან

## (გორის მაზრა)

ემიგრაციიდან ახლად დაბრუნებულმა ამხ. ი. გაბუნიამ, გორში და მაზრის რაიონებში, გააკეთა მოხსენებები საერთაშორისო მდგომარეობაზე და ქართველი ემიგრაციის უკანასკნელი პერიოდის „მოღვაწეობის" შესახებ.

მომხსენებელი ყოველგან ვრცლად ეხებოდა და არკვევდა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის არსებულ ინტერესთა წინააღმდეგობას, ინგლისის მთავრობის მუშაობას საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ძალების გასაერთიანებლად და ჟორდანია-რამიშვილის უკანასკნელ „მოღვაწეობას" და „პერსპექტივებს".

აუდიტორია ყველგან დიდის ინტერესით უსმენდა მომხსენებელს, გამოთქვამდენ თავიანთ აზრს და სასტიკ უკმაყოფილებას და პროტესტს აცხადებდენ ჟორდანიას „მთავრობის" ყოვლად უპასუხისმგებლო და უზურპატორულ მოქმედებაზე.

მოხსენების შემდეგ იმართებოდა საუბრები ადგილობრივი ხასიათის (სამეურნეო და სხვ.) საკითხების ირგვლივ და გამოჰქონდენ რეზოლიუციები, სადაც აღნიშნავდენ თავიანთ მიღწევებს, მტკიცე გადაწყვეტილებას ქვეყნის დაცვის საქმეში ყოველგვარი გართულებებისაგან და გმობდენ რამიშვილების რეაქციონურ „მოღვაწეობას".

**დამსწრე.**

## ჩვენი პასუხი

ემიგრაცია კიდევ განაგრძობს ქართველი მშრომელი ხალხის ჯალათის როლს. ის კიდევ ეპირება 24 წ. აგვისტოს ავანტიურის განმეორებას და იწყებს ემისრების გზავნას [illegible] დირექტივებით პროვოკაციის მოსაწყობად. საქართველოს სინამდვილეში, რა თქმა უნდა, აღარავინ არის ისეთი უვიცი და ბრიყვი, რომ რამიშვილის ოცნებით შექმნილ ავანტიურას გაჰყვეს.

საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი საზღაპრო აღმშენებლობითი მუშაობით სავსებით გამოაცალა ნიადაგი რესტავრაციის მოწყურებული ემიგრაციის გეგმებს და საზღვარგარეთიდან პროვოკაციის მოწყობის მიზნით წარმოგზავნილ ემისრებს არავითარი აჯანყების მოწყობა საქართველოში არ ძალუძთ.

ქართველ ერს და მუშათა კლასს აქვს იმოდენი პოლიტიკურ-კლასიური შეგნება და რევოლიუციონური სიმტკიცე, რომ რომის პაპებთან და კენტერბერიის ეპისკოპოზებთან დაკავშირებულ ჟორდანია-რამიშვილისაგან არ ელოდოს თავის მიზნების განხორციელებას. ჟორდანია რამიშვილმა უნდა იცოდენ, რომ საქართველოს მუშები და გლეხები სრული შეგნებით შეებრძოლებიან მათ და დაიცავენ თავის საბჭოთა ქვეყანას ყოველგვარი თავდასხმისაგან.

დროა შეიგნონ ეს ჭეშმარიტება ქართველი ხალხის სისხლით მოვაჭრეებმა ემიგრაციის ლიდერებმა და მოასვენონ ხალხი ამ უაზრო და უპასუხისმგებლო პროვოკატორულ მოღვაწეობიდან.

**მასწავლებელი: ი. ქვარცხავა.**

**სარედაქციო კოლეგია.**

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. № 68.